საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძ-ოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 26 ივლისი. 2017 წ. №150 (8287), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

აფხაზეთი – დიდი საექსპერიმენტო ლაბორატორია

მშობლიურ სახლში „ბინადრობის უფლება“

④

სამმა მორიელმა – ოხანაშვილმა, მამალაძემ და შავშიშვილმა ერთი კიბოს „მეტასტაზი“ თეთრუაშვილი ვერ მოიშორეს!..

ე.წ. ციანიდის საქმეზე პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილის დაკითხვა დასრულდა. პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი საქართველოში არ იმყოფება, აქედან გამომდინარე, მისი დაკითხვა Skype-ის მეშვეობით მიმდინარეობდა.

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, სოსო ოხანაშვილმა დაადასტურა, რომ პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი, სძულს და მისი მოშორება სურდათ.

ამ ინფორმაციას ე.წ. ციანიდის საქმეში ბრალდებული მამა გიორგი მამალაძის ადვოკატები არ ადასტურებენ. მათი თქმით, დაკითხვის დროს სოსო ოხანაშვილმა განაცხადა, რომ შორენა თეთრუაშვილი ზოგადად საპატრიარქოში სძულთ.

„ოხანაშვილი ბრალდებულის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრეა, მანაც ვერ დამალა სიძულვილი და მტრული განწყობა შორენა თეთრუაშვილის მიმართ. სოსო ოხანაშვილი შეეცადა, რაღაც გარემოებები შეენიღბა, რომ თითქოს ბრალდებულს ცუდი დამოკიდებულება არ ჰქონდა შორენასთან, მან ვერ უარყო ის ფაქტი, რომ სიძულვილით იყვნენ განწყობილი შორენას მიმართ. იმართებოდა კონსპირაციული შეხვედრები, სადაც სოსო ოხანაშვილი, დეკანოზი გიორგი მამალაძე და ტარას შავშიშვილი განიხილავდნენ შორენა თეთრუაშვილის საპატრიარქოდან ჩამოშორების საკითხს. მას ადარებდნენ კიბოს მეტასტაზს, რომელიც იყო მოსაშორებელი. როცა მიზანს ვერ მიაღწია დეკანოზმა, შემდეგ აირჩია ყველაზე რადიკალური მეთოდი და თეთრუაშვილის მკვლელობისთვის მზადება დაიწყო. სწორედ ამ მიზნით შეიძინა მან ციანიდი და დანაშაულებრივი განზრახვის შესრულება გადაწყვიტა გერმანიაში. ოხანაშვილის დაკითხვით დადასტურდა ის, რომ ვერანაირად ვერ ჩამოიშორეს თეთრუაშვილი“, – დაასკვნა ჯარჯი წიკლაურმა.

დაცვის მხარე „იფიცება“, რომ პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის თქმით, მდივან-რეფერენტის სამსახურიდან გაშვების გადაწყვეტილება ილია მეორემ სამჯერ მიიღო, თუმცა, მეუფეებმა მისი გადარწმუნება შეძლეს.

რაც შეეხება კონკრეტულად ე.წ. ციანიდის საქმეს, ადვოკატების განცხადებით, სოსო ოხანაშვილი ამბობს, რომ პატრიარქს მამა გიორგი მამალაძის თავმდებში ჩადგომა სურდა, რათა დეკანოზი ციხიდან გამოეშვათ, მაგრამ ამ საკითხში პატრიარქი მეუფე იაკობმა გადაარწმუნა.

გიორგი კვირიკაშვილი ისრაელის პრეზიდენტს რუვენ რივლინს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისრაელის პრეზიდენტს რუვენ რივლინს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობებზე ილაპარაკეს. ისრაელის პრეზიდენტის თქმით, ის ბედნიერია იმით, რომ ქართულ დელეგაციას მასპინძლობს.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბევრი ტურისტი მოგზაურობს მათი ქვეყნიდან საქართველოში და პირიქით. ასევე ხაზი გაესვა ეკონომიკურ კავშირებს. გიორგი კვირიკაშვილმა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას მიაგო პატივი.

ლადო ჭანტურია:

არა-ლიბერების თვალსაზრისით ევროპელი პარტნიორები რომ მტკიცე მხარდაჭერას გვიცხადებენ, ეს ბერმანიის მნიშვნელოვანი დამსახურებაა

③

მაყვალა გონაშვილი:

ჩვენმა შვილებმა გმირობის ფასი მხოლოდ წარსულის მაგალითებით არ უნდა გაიგონ

⑤

ვახტანგ დავითაია:

ბენზინის პროექტი თბილისს სასიკეთოდ ვერ წაადგება!

②

ხალხი რას არ იტყვის...

– პრეზიდენტის ვიზიტის გამო საავადმყოფოში ჯანმრთელი ავადმყოფები გადმოჰყავთ.

– რომის პაპი ერთსქესიანთა გაყრის წინააღმდეგ გამოვიდა.

– ლამაზ ფეხებიან ქალებს იგივე საკვები კვებავს, რაც მგლებს.

– პირველი ფსიქოთერაპევტი ებრაელი იყო, რადგან მხოლოდ ებრაელს შეეძლო ადამიანებთან ფულის საფასურად დალაპარაკება.

– ცხოვრება არენაა, სადაც სუყველა კლოუნი ფიქრობს, მე ყველაზე უკეთესი ვარო.

– ორსული მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს, ფეხმძიმე, ანუ მძიმედმავალი, ზანტი – სუყველა.

– თუ ბრიყვი გაქებს, ნუ ხარობ, ეტყობა, სიბრიყვე რამე თქვი.

– სიმართლის გულისთვის თუ ცრუობ, ცოდვად არ გეთვლება.

– ზოგი ქმარი რძესავით არის, თუ აადუღე, ჩათვალე, რომ დაკარგე.

მშენებლობის კანონის გამკაცრების თაობაზე მუშაობა მიმდინარეობს

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, მშენებლობის კანონის გამკაცრების საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. მისივე თქმით, კომპანიები ხშირ შემთხვევაში დაუდევრად იქცევიან.

„მანამდე არსებული რეგულაციების პირობებში ქალაქის ზედამხედველობის სამსახური უზრუნველყოფს იმას, რომ მშენებლობის ობიექტზე მინიმალურად აუცილებელი უსაფრთხოების ნორმები დაცული იყოს. ობიექტს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბადეები ჰქონდეს და ხარაჩოები შესაბამისად აწყობილი იყოს. თუმცა სამწუხაროა ის, რომ კომპანიები ხშირ შემთხვევაში დაუდევრად იქცევიან. შესაბამისი საკითხები დარეგულირებული და მოწესრიგებული არ არის. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები მათ მიერ დასაქმებულის ინტერესებს გაუფრთხილდნენ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ დიდ დილომში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობიდან მამაკაცი გადმოვარდა და დაიღუპა. მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

პოროშენკომ და ივანიშვილმა ურეკში 2-საათიანი საიდუმლო შეხვედრა მე მომიძღვნეს...

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს საქართველოში ვიზიტს ეხმაურება.

„ჩემი მონაცემებით, პოროშენკო სპეციალურად ეწვია ბათუმს, რათა საქართველოს ფაქტობრივ მმართველთან ივანიშვილთან ურეკში ჩემი ექსტრადირების საკითხი განეხილა. მათი საიდუმლო შეხვედრა ორ საათზე მეტი გაგრძელდა და ეს დრო თითქმის სრულად მე მეძღვნებოდა.

ივანიშვილი 100%-ით რუსული პროექტია და გაზპრომის უმსხვილეს აქციონერს წარმოადგენს. ადგილი აქვს პირდაპირ კავშირს ორ მილიარდერ ოლიგარქს შორის იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც არც ფული აქვს და არც რაიმე ოფიციალური თანამდებობა. სამწუხაროდ, მიწევს იმის კონსტატირება, რომ ამ სიტუაციაში პოროშენკო იქცევა არა როგორც პრეზიდენტი და კონსტიტუციის გარანტი, არამედ როგორც სულების გამყიდველი.

აქვე ჩაერთო ახმეტოვის რესურსი, რომლის არხმაც შეისყიდა გაზპრომის ფულით და ივანიშვილის დაკვეთით ჩემზე გადაღებული ფილმი. ამის ფონზე „ოპოზიციონერმა“ ლიაშკომ ისევ დაიწყო ხმამაღლა ყვირილი, რომ დროა, გამაძევონ უკრაინიდან.

რაზეც არ უნდა შეთანხმებულიყვნენ და რა ნაბიჯებიც არ უნდა გადადგან მეწარმეებმა, მე უფრო აქტიურად გავაგრძელებ ბრძოლას უკრაინისა და საქართველოს გათავისუფლებისთვის ოლიგარქებისგან, რომლებიც უშლიან ხალხის ნორმალურ ცხოვრებას“, — წერს facebook-ის საკუთარ გვერდზე მიხეილ სააკაშვილი.

სამოქალაქო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ საოკუპაციო ხაზთან პატრულირებას იწყებს!

აქტივისტები შეიკრიბნენ სოფელ ყარაფილასთან. მოძრაობის ორგანიზატორების განცხადებით, მათი ინიციატივა მხოლოდ სამშვიდობო ხასიათს ატარებს.

„ჩვენი გადაადგილება შეთანხმებული იქნება სამართალდამცავებთან, ჩვენ არ გადავკვეთთ თქვენი უსაფრთხოების ხაზს. ჩვენი მიზანია, აქ იმ დრომდე დავრჩეთ, ვიდრე ოკუპანტები არ დატოვებენ ტერიტორიას. შევეცდებით, რუსი სამხედროების მხრიდან ნებისმიერი პროვოკაციული ქმედების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ ჟურნალისტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და საზოგადოებას.

აქტიური კონტაქტი გვექნება ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვფიქრობთ, რომ ისინიც შეუერთდებიან ჩვენს ინიციატივას“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დავით ქაცარავამ.

20-მა მოხალისემ უკვე გამოთქვა სურვილი, სამოქალაქო პატრულირებაში მიიღოს მონაწილეობა.



„ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია საზოგადოებრივი მოძრაობის — „ძალა ერთობაშია“ ინიციატივის განხორციელება“

შსს-ს წარმომადგენლები საზოგადოებრივი მოძრაობის — „ძალა ერთობაშია“ ინიციატორებსა და ორგანიზატორებს შეხვდნენ და ის რისკები და გამოწვევები განუმარტეს, რომლებიც მათ ინიციატივას უკავშირდება.

„აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო ზოლთან ინტენსიურად მუშაობენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და შსს-ს დანაყოფები, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას და მონიტორინგის შესაბამისი ფუნქციებით არიან აღჭურვილი. საყურადღებოა, რომ საოკუპაციო ზონა არის მაღალი რისკის არეალი, სადაც მსგავსი ტიპის გადაადგილება საფრთხის შემცველია. ამიტომ, ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია საზოგადოებრივი მოძრაობის — „ძალა ერთობაშია“ ინიციატივის განხორციელება. ბუნებრივია, ჩვენ პატივს ვცემთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და, ამავდროულად, უფლებას ვიტოვებთ, ვიმოქმედოთ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 26 ივლისს დანიშნა

პრეზიდენტმა პარლამენტის თხოვნა დააკმაყოფილა და 26 ივლისს რიგგარეშე სხდომა დანიშნა. სხდომაზე დეპუტატები პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მოტივირებულ შენიშვნებზე იმსჯელებენ.

„პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საკანონმდებლო ორგანოს, გაითვალისწინოს თვითმმართველობის მნიშვნელობა, ნუ შეაფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და მოუსმინოს საკუთარ მოსახლეობას“, — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ.

◎ ექსკლუზივი

გენგეგმის პროექტი თბილისს სასიკეთოდ ვერ წაადგება!

— ბატონო ვახტანგ, დიდი მოლოდინი იყო თბილისის გენერალურ გეგმაზე. თითქმის სამი წელიწადია, ეს თემა პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ქვეშაა. უკვე დამთავრდა საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა — განხილვები იყო არქიტექტორთა კავშირში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, დაგეგმილია პროექტის წარდგენა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და ილიას უნივერსიტეტში, ალბათ, სხვა-განაც. ეშველება რამე ჩვენს დედაქალაქს?

ვახტანგ დავითაია: ეს არ არის პროექტი, რომელსაც შეუძლია აღმოფხვრას ის, რაც წლების მანძილზე დავმართეთ თბილისს. დავაშავეთ ძალიან ბევრი და არსებითი. რიყეს, სპორტის სასახლის არეალს, პირველი სკოლის მიმდებარე საცხოვრებელ კომპლექსს, ვერა-ვაკის, საბურთალოს აუტანელ სიმჭიდროვეს გენგეგმის პროექტი ვერ უშველის. მთაწმინდის მიმდებარე არეალის სართულიანობის მეთოდურად ამაღლებამ წმინდა მთა აქცია ფერდობად. დაიკარგა რომანტიკა, ლეგენდა, რაღაც მიუწვდომელი.

სამწუხაროდ, არქიტექტორულ-ურბანულის შეცდომები, ქირურგის შეცდომის მსგავსად, არ სწორდება. ვიღაცვიღაცებმა კუჭები ამოიყორეს, ხოლო ქალაქის მოსახლეობა ათეული წლების განმავლობაში უნდა დაიტანჯოს.

თბილისის მიწათსარგებლობის გენგეგმა, რომელიც კვალიფიციურმა სპეციალისტებმა დაამუშავეს, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება გამოადგეს მომავალი სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ვისაც ჰგონია, რომ ეს პროექტი დამტკიცდება და თბილისი ამას სასიკეთოდ იგრძნობს, ძალიან ცდება.

— რამდენად ეფექტურია ეს ხალხმრავალი განხილვები, რამდენად გამოადგება აქ გამოთქმული აზრები გენგეგმის სრულყოფას?

— საჯარო განხილვები, ხალხის, მასის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება უფრაა, ვინემ შედეგზე გათვლილი. ასეა ეს მთელ მსოფლიოში. „პარტისიპაცია“ დროის მოთხოვნაა.

მე რომ მერი ვიყო, ამ ხალხმრავალ პრეზენტაციებს ვამჯობინებდი 8-10 სპეციალისტისგან შემდგარი საექსპერტო ჯგუფის მიერ დადებულ დასკვნას.

თბილისის მერიას, სანამ ჯერ კიდევ არსებობს ამ შემადგენლობით, ერთი გონივრული გადაწყვეტილების მიღება შეუძლია — ჩამოაყალიბოს გენგეგმის ინსტიტუტი ან დეპარტამენტი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს ყველა კითხვას, რომელიც დადგება ქალაქის წინაშე. ასეა ეს მთელ მსოფლიოში, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ჩვენ მოვსპეთ ხელის ერთი მოსმით ყველაფერი, ნაბან წყალს ბავშვთან ერთად დედაც გადავაყოლეთ.

არსებობს საბაზისო დოკუმენტი. მთავარია, როგორ გაგრძელდება შემდეგი ეტაპები, იქნება ეს უწყვეტი პროცესი თუ დამთავრდება ბ-ნ დ. ნარმანიას მერობასთან ერთად, ჩვენ ხომ არ გვიყვარს სხვისი დაწყებული საქმის გაგრძელება.

ესაუბრა
გიორგი ქობულაძე

„არაღიარების თვალსაზრისით ევროპელი პარტნიორები რომ მტკიცე მხარდაჭერას გვიცხადებენ, ეს გერმანიის მნიშვნელოვანი დამსახურებაა“

— ბატონო ლადო, ბოლო პერიოდში საქართველოში არაერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი საუბრობს გერმანიის მიმართულებით მუშაობის გააქტიურების მნიშვნელობაზე. ჩვენ ვნახეთ გერმანიის ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროსაც. თქვენი აზრით, რატომ აქვს გერმანიას ეს პოზიცია?

— ეს სწორი მიდგომა არ არის. გერმანია საქართველოს ევროპულ კურსს აქტიურად უჭერს მხარს. გერმანიამ ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება. იგივე შეიძლება, ითქვას სავიზო ლიბერალიზაციის საკითხზეც. უბრალოდ, თავად გერმანიას ლტოლვილებთან დაკავშირებული საშინაო პრობლემები ჰქონდა, მოგეხსენებათ, მას მილიონზე მეტი ლტოლვილის მიღება მოუწია. ამის გამო ქვეყნის შიგნით გარკვეული სირთულეები შეიქმნა, მმართველ პარტიას და პირადად კანცლერსაც პოლიტიკური პრობლემა შეექმნათ და ამ საკითხის გაჭიანურების მიზეზი სწორედ ეს გახლდათ.

ეს საქართველოს არ უკავშირდებოდა და ამის შესახებ განცხადება, მათ შორის გერმანიის მთავრობის მხრიდან, ბევრჯერ გაკეთდა. გახსოვთ ალბათ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს გაჭიანურება საქართველოს მხრიდან რაიმე სახის პრობლემით არ იყო გამოწვეული. და მიუხედავად იმხანად თავად გერმანიაში შექმნილი გარკვეული სირთულეებისა, მან საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას მაინც დაუჭირა მხარი.

ამგვარად, გერმანიის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია ან თუნდაც უკმაყოფილება სამართლიანი ვერ იქნება. გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღიდან საქართველოს ძლიერი მხარდამჭერი ქვეყანაა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დონორია, რომელიც ჩვენს ქვეყანას ასოცირების გეგმის რეალიზებაში, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების, მათ შორის ვიზალიბერალიზაციის განხორციელებაში ეხმარება.

— ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებები საერთაშორისო იზოლაციის დასაძლევად იტალიის შემდეგ გერმანიის მიმართულებითაც გააქტიურდნენ. ასე, მაგალითად, 17 თებერვალს „Апсныпресс“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, „გერმანიაში აფხაზეთის წარმომადგენლობაში“ გამართულ მრგვალ მაგიდას გერმანიის ბუნდესტაგისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, გერმანელი პოლიტიკოსები და კავკასიის საკითხთა ექსპერტები, ასევე ბერგჰოფის ფონდისა და ადგილობრივი აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ. „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ ხიბლა ამიჩბას განცხადებით, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრას გერმანელი დეპუტატიც ესწრებოდა.

მართალია, ეს ყველაფერი „კულტურული წარმომადგენლობის“ ღონისძიებების სახეს ატარებს და გერმანიის ხელისუფლება აცხადებს, რომ საუბარია მხოლოდ კერძო ორგანიზაციებისა და პირების ინიციატივებზე, თუმცა ცხადია, რომ ყველა ეს ღონისძიება პროპაგანდისტული მიზნით გამოიყენება გერმანული საზოგადოების აზრზე ზემოქმედებისთვის. რას აკეთებს თქვენი უწყება მსგავს ღონისძიებებში გერმანელი ოფიციალური პირების მონაწილეობის ფაქტებზე რეაგირების კუთხით?

— არავითარი ოფიციალური, იურიდიულად გაფორმებული წარმომადგენლობა ოკუპირებულ აფხაზეთს გერმანიაში არ გააჩნია. გერმანიის არც ერთ ფედერალურ მიწაზე, არც ერთ ფედერალურ სტრუქტურაში „აფხაზეთის წამომადგენლობის“ შესახებ არავითარი ინფორმაცია არავის აქვს. ასეთი წარმომადგენლობა უბრალოდ არ არსებობს.

რაც შეეხება ხიბლა ამიჩბას, რომელიც მსგავსი სტრუქტურის წარმომადგენლობას იბრალებს, ეს ქალბატონი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არა ერთხელ გააფრთხილა, რომ გერმანულ კანონმდებლობას არღვევს, რომ შეიძლება, ამისთვის დაისაჯოს და ამიტომ გერმანიაში ამ სტატუსით არსად ჩნდება. მისამართიც კი არა აქვს გერმანიაში, სადაც თქვენ შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ. ის შეიძლება, დადის, როგორც კერძო პირი, ესწრება რაიმე შეხვედრას, აგზავნის სოხუმში ინფორმაციას, რომ რაღაც შეხვედრას დაესწრო... მერე ჩვენ ვიღებთ ამ ინფორმაციას და ვაგზავნით შეხვედრის ორგანიზატორებთან შესაბამის კითხვას. როგორც წესი, ირკვევა, რომ საერთოდ არ იციან, ესწრებოდა თუ არა ხიბლა ამიჩბა ამა თუ იმ ღონისძიებას...

ასე რომ, ხიბლა ამიჩბასა და „Апсныпресс“-ის მიერ გარცელებული ინფორმაცია გერმანიის საზოგადოებრივ აზრზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს.

რაც შეეხება იმ გერმანელ დეპუტატს, რომელიც ღონისძიებას დაესწრო, ჩვენ ამ საკითხზე რეაგირება მოვახდინეთ. გაირკვა, რომ ეს ადამიანი ხიბლა ამიჩბას მეზობელი იყო და ამ ქალბატონმა ვახშამზე მიიწვია. მოგვიანებით, როცა ამ დეპუტატმა შეიტყო, რომ ამიჩბა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენელი ყოფილა, ძალიან აღშფოთდა და მომხდარის შემდეგ მასთან საერთოდ გაწყვიტა კავშირი.

— საქართველოს ხელისუფლებამ დიასპორების საკითხთა სამინისტრო გააუქმა და ამ სფეროს მართვა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა. გასულ წელს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ეს თემა ქვეყნის მთავრობის პრიორიტეტების ნუსხიდან არ გამქრალა, თუმცა არც მანამდე და არც მას შემდეგ ამ მიმართულებით ხელისუფლების აქტიური მუშაობა არ ჩანს. არადა, უამრავი ქვეყანა აქტიურად იყენებს საკუთარ დიასპორებს მთელს მსოფლიოში სახელმწიფო ინტერესების ლობირებისთვის. მაინტერესებს, გერმანიაში ჩვენს დიასპორასთან რა მუშაობა წარმოებს და თუ ვაქტიურობთ საერთოდ ამ მიმართულებით?

— ჩვენ ამ გადაწყვეტილების მიღებამდეც აქტიურად ვთანამშრომლობდით ქართულ ორგანიზაციებთან გერმანიაში და, რა თქმა უნდა, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ამ ფუნქციის გადაცემის შემდეგ ჩვენს დიასპორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება. გერმანიაში არსებულ ყველა ქართულ სათვისტომოსთან კავშირი გვაქვს. მათთან შეხვედრებს რეგულარულად ვმართავთ. თქვენ იცით, რომ გერმანია ფედერაციული სახელმწიფოა, ამიტომ ამ დიასპორული ორგანიზაციების დიდი ნაწილი რეგიონებშია. ჩავდივართ როგორც ელჩი, ასევე საკონსულო სამსახურის წარმომადგენლები... ფრანკფურტში მდებარე გენერალური საკონსულოც ასევე აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. შარშან აღვნიშნეთ მიუნხენის ქართული სათვისტომოს 70 წლის იუბილე. ეს პირველი ქართული სათვისტომო იყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. ჩვენ მათთან მჭიდრო კავშირი გვაქვს.

უბრალოდ პრობლემაა ამ დიასპორული ორგანიზაციების გაერთიანება ერთ სათავო ორგანიზაციად. მიდის ამ საკითხზე მუშაობა და გამორიცხული არაა, უახლოეს მომავალში პროცესი დადებითად დასრულდეს.

— 2008 წლის ომის წინ გერმანიის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა წარმოადგინა კონფლიქტების მოგვარების გეგმა. მანამდე იყო ე.წ. ბოდენის გეგმა, თუმცა მხარეებისთვის მისაღები არც ერთი არ აღმოჩნდა. მას შემდეგ დღემდე გერმანული მხრიდან ამ მიმართულებით მსგავსი აქტივობა აღარ ყოფილა. რამდენად არსებობს და თუ არსებობს, რამდენად ათვისებულია გერმანიის რესურსი კონფლიქტების მოგვარების საქმეში? მიდის თუ არა ქართული მხრიდან რაიმე სახის მუშაობა ამ მიმართულებით?

— დიახ, არც ბოდენის, არც შტაიმაიერის გეგმა რეალობად არასდროს ქცეულა. სადღეისოდ მსგავსი გეგმა არ არსებობს, მაგრამ გერმანია და გერმანული პოლიტიკური ფონდები აქტიურად არიან ჩართული კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში და შესაბამისი ღონისძიებები შეთანხმებულია როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ასევე ჩვენს სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან. გერმანიის რესურსი მართლაც შეიძლება, იყოს გამოყენებული ამ მიმართულებით და ეს ქვეყანა არის კიდეც გამოყენებული ამ პროცესში. თუმცა მიამიტებიც ნუ ვიქნებით: მარტო გერმანიის აქტიურობისა და პროექტების (მაგალითად, ჰაინრიხ ბოელის და მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდების ერთობლივი პროექტი) მეშვეობით ჩვენი კონფლიქტები, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყდება.

— აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 2017 წლის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტის პროექტი კრძალავს ქვეყნის მიერ იმ სახელმწიფოების დახმარებას, რომლებმაც ოკუპირებული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარეს. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს, რომ გამოყოფილი თანხები არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის ოკუპაციის მხარდასაჭერად. მუშაობს თუ არა თქვენი უწყება მსგავსი შედეგის მისაღწევად გერმანიასთან?

— აშშ-ისგან განსხვავებით, გერმანია მსგავს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, ევროპის კავშირის ერთიანი პოლიტიკის მიღმა ვერ მიიღებს. მეორეც, გერმანია ჩვენთან არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით ძალიან აქტიურად თანამშრომლობს და იმაში, რომ ჩვენ არაღიარების საკითხში ასეთი ცალსახა და მტკიცე მხარდაჭერა გვაქვს ევროპელი პარტნიორების მხრიდან, გერმანიის მნიშვნელოვანი დამსახურებაც არის. ამასთან, ბუნდესტაგმა რამდენიმე კვირის წინათ რეზოლუცია მიიღო, რომელშიც საქართველო ერთხმად არის აღიარებული აღმოსავლეთ პარტნიორების ფორმატში უპირობო ლიდერად. ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტი გერმანიის საკანონმდებლო ორგანომ საქართველოსთან დაკავშირებით საქართველო-გერმანიის ურთიერთობების ისტორიის მანძილზე პირველად მიიღო.

— არ შემიძლია, არ გკითხოთ მცოცავ ანექსიაზე. ოფიციალური თბილისი მის შეჩერებას კვლავინდებურად საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის ზრდით ცდილობს. თუმცა პროცესი გრძელდება. რამდენად საკმარისია, თქვენი აზრით, დასავლელი პარტნიორების ზემოქმედება რუსეთზე კრემლის აგრესიული ქმედებების შესაჩერებლად?

— ევროპამ, მათ შორის გერმანიის მთავრობამ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრჯერ გააკეთეს საჯარო განცხადებები. გარდა ამისა, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოქმედების ვადა კიდევ ერთხელ გახანგრძლივდა. ასე რომ, იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რომელიც სადღეისოდ საერთაშორისო პოლიტიკაში რეალურად არსებობს, ევროპა ცდილობს, თანამიმდევრული პოლიტიკა გაატაროს.

— არაერთი ექსპერტი და პოლიტიკოსი დღეს თვლის, რომ რუსეთის „სტრატეგიული თმენის“ პოლიტიკა, რომელიც თავის დროზე ალბათ, უალტერნატივო არჩევანს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში ზედმეტად დამთმობ მიდგომაში გადაიზარდა. თქვენ თუ ხედავთ ამ პოლიტიკის გარკვეულწილად კორექტირების საჭიროებას და თუ განიხილავს საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხს?

— განსხვავებული მოსაზრებები ყოველთვის არსებობს. არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ რუსებს ჟანგიანი ტანკები აქვთ და ჩვენ შეგვიძლია, ისინი მარტივად დავამარცხოთ...

რაც შეეხება გამოსავალს, ამ თემებზე მსჯელობა ყველა დონეზე და ყველა ფორმატში მუდმივად მიმდინარეობს. ყველა ეძებს გამოსავალს, თუმცა ჯერჯერობით ის არ ჩანს.

ყველა ყველაფერს ხედავს და დაფარული არაფერია. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, მშვიდობიანად, ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესებიდან გამომდიარე გადაწყვიტოს ეს პრობლემა.

ესაუბრა
მარიკა ჩუბინიძე.
საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“.

მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით.

საქართველოში უნებართვოდ მცხოვრებთა უკან დაბრუნების მიზნით...

საქართველოს მთავრობა უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის მიზნით რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკებებს იწყებს.

უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის (უკან დაბრუნების) შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, ნოტების გაცვლის გზით მოლაპარაკებები გაიმართება ერაყის, ლიბანის, ავღანეთის, კამერუნის, კოტ-დ'ვუარის, კონგოს, გამბიის, ტუნისის, სომალის და განის მთავრობებთან. მსგავსი მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე შესაბამისი განკარგულებები მთავრობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

აფხაზეთი – დიდი საექსპერიმენტო ლაბორატორია

მშობლიურ სახლში „ბინადრობის უფლება“

***აფხაზეთი** – დიდი საექსპერიმენტო ლაბორატორია, ეს სათაური წლების წინანდელ ერთ ჩემს პუბლიკაციას დავესესხე. სათაური იმიტომაც გავიმეორე, რომ აფხაზეთი კვლავაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის „დიდ საექსპერიმენტო ლაბორატორიად“ რჩება, „ლაბორანტებად“ კი ისევ ჯერ კიდევ როდიდან „მონუსხული“ აფხაზები ჰყავთ.*

ფრონტის ხაზიც კვლავაც გალის რაიონზე გადის და გრძელდება აფხაზეთისთვის ომი ახლა უკვე შიშველ ტყვიაზე არანაკლებად საშიში და მუხანათური იარაღით: ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური წნეხით, ადამიანის უფლებებისა და პიროვნული თავისუფლების შეზღუდვით, ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე ღია შეტევით, მშობლიური სკოლებისა და ენის წართმევით...

წლების წინათ იქ დიდი იმედით დაბრუნებული ადამიანები ამ ფრონტის, „ექსპერიმენტის“ „ობიექტებად“ რჩებიან და არავინ იცის, დიდი გეოპოლიტიკური და ტერიტორიული ინტერესებისთვის ბრძოლის ქარცეცხლში მოყოლილები, სანამდე გაუძლებენ ათასი ჭორ-მართლით კიდევ უფრო დამძიმებულ სულიერ თუ ფიზიკურ ტვირთს! როდის და სად გაუწყდებათ თმენისა და აფხაზეთის წინაშე (რატომღაც მხოლოდ მათთვის „გადაბარებული“) ვალდებულებების უკვე საკმაოდ გაწვრილებული ძაფები?!

ალბათ ეს ბევრად მსუბუქი შესავალია გალის რაიონში არსებული რეალობისთვის, რომელიც ე. წ. აფხაზურმა პარლამენტმა „უცხოეთის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით წარმოუდგენლად დაამძიმა. ამ ცვლილებამ აფხაზეთში ბოლო წლებში მოარულ ხმებს (ჭორ-მართალს შორის გახიდულ აზრთა სხვადასხვაობას) გალის რაიონში მცხოვრები ქართველების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით „გამამაგნებელი დასასრული“ მოუძებნა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გალის რაიონის ძირძველი მოსახლეობის მშობლიურ სახლ-კარში, მიწა-წყალზე ყოფნა-არყოფნის საკითხი უფრო მეტად სათუო გახადა, ვიდრე ეს იყო მაშინაც კი, როდესაც გალის რაიონი მთელ აფხაზეთთან ერთად ცეცხლის ალში ეხვეოდა. აფხაზურმა პარლამენტმა ამ „გადაწყვეტილებით“ გალის რაიონში უხსოვარი დროიდან მცხოვრებ ქართველებს უსასტიკესი განაჩენი გამოუტანა და მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გადმოცემულ მამულში, როგორც „უცხოელს“, „ბინადრობის უფლების“ მიღების პერსპექტივა „განუსაზღვრა“.

მაშინ აფხაზურმა საინფორმაციო წყაროებმა ეს ამბავი „რუსულ-აფხაზურ სამართლებრივ ენაზე“ ასე გაავრცელეს: „2016 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის ე. წ. პარლამენტმა ცვლილება შეიტანა კანონში „უცხოეთის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. კანონში, რომელიც უცხოეთის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ბინადრობის უფლების გაცემის წესს არეგულირებს. ცვლილება შევიდა ამ კანონის მეათე მუხლში, რომელშიც ბინადრობის უფლების გაცემის საფუძვლებია ჩამოყალიბებული“.

ცვლილების არსს მაშინ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელი დიმიტრი შამბა ასე განმარტავდა: „აქამდე ბინადრობის უფლება გაიცემოდა ორ საფუძველზე, კერძოდ: „ერთ შემთხვევაში – მოქალაქეზე, რომელიც ქორწინებაში იმყოფება აფხაზეთის მოქალაქესთან; მეორე შემთხვევაში მოქლაქეობის არმქონე პირზე, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტობრიდან, აფხაზეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტის მიღების მომენტიდან ცხოვრობს“. ამჟამინდელი ცვლილება კი ითვალისწინებს მესამე საფუძველს, რომლის თანახმად „ბინადრობის უფლება“ მიეცემა არა უბრალოდ მოქალაქეობის არმქონე პირებს, არამედ სწორედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც დაბადებული არიან აფხაზეთის რესპუბლიკის გალის რაიონის ტერიტორიაზე და ათი წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობდნენ აქ 1999 წლის 12 ოქტომრის შემდეგ“.

დააკვირდით ფორმულირებას: „ბინადრობის უფლება“ მიეცემა... „უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც დაბადებული არიან აფხაზეთის რესპუბლიკის გალის რაიონის ტერიტორიაზე“... ანუ ცვლილება კანონში კონკრეტულად გალის რაიონის მოსახლეობისთვის შევიდა, კონკრეტულად მათთვის დასჭირდათ ასეთი განსაკუთრებული სტატუსი: „გალის რაიონში დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები“, რომლებიც არც მეტი, არც ნაკლები, „ათი წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა ცხოვრობდნენ აქ 1999 წლის 12 ოქტომრის შემდეგ“ (ანუ აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ).

ამასაც მიაქციეთ ყურადღება: გალის რაიონის მოსახლეობის ამ მიწა-წყალზე უხსოვარი დროიდან ბინადრობის ფაქტი საერთოდ უგულებელყოფილია და თვით „ბინადრობის უფლების“ მისაღებადაც არად ჩასაგდები. 1999 წლამდე თითქოს არც აფხაზეთი არსებულა და არც ამ ტერიტორიაზე უცხოვრია ვინმეს. ეს ადამიანები აქ თითქოს სხვა პლანეტიდან ჩამოუსხამთ...

როგორ „ხელის ერთი ანევით“ წაუშლიათ, ცხადია, „უფროსი ძმის“ მეცადინეობით (როგორი ღიმილისმომგვრელია ამ ფონზე ჩვენს მიერ დაჩემებული „ბევრი რამ“...) ვითომ აფხაზ პარლამენტარებს გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართველების უხსოვარი დროიდან „ბინადრობის“ კი არადა, მკვიდრობის ისტორია! როგორი განსაკუთრებული „სამართლებრივი სტატუსი“ „შეუთხზავთ“ და როგორი განაჩენი გამოუტანიათ მათთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველობაზე და საქართველოს მოქალაქეობაზე ანუ საკუთარ წარმომავლობაზე უარს არ და ვერ ამბობენ!

როდესაც ამგვარ ვერაგობას იარაღის ძალით სჩადიან, თითქოს გასაგებია, მაგრამ როცა ომიდან 24 წლის შემდეგ „სამართლის“ სახელით აკანონებენ, ძნელად სახელდასარქმევია! კანონში - „უცხოეთის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ შეტანილმა „ცვლილებამ“ ცხადყო, როგორ ჰქონდათ ყელში გაჩხერილი გალის რაიონის ქართველი მოსახლეობა რუსებსა და აფხაზებს. „ბინადრობის უფლება“ აფხაზურ-რუსული კანონების მიხედვითაც, ხუთი წლის შემდეგ მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას გულისხმობს. ოღონდ, ამ უფლების მისაღებად გალის რაიონის მოსახლეობისთვის ხუთი წელი კი არა, მთელი დარჩენილი ცხოვრებაც არ იქნება საკმარისი, თუ საქართველოს მოქალაქეობაზე უარს არ იტყვიან (და მაშინაც საკითხავია, მიიღებენ თუ არა ამ უფლებას!)

დეპუტატთა ნაწილი „უცხოეთის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანას არ ემხრობოდა თურმე. მაგალითად, დეპუტატ იური ზუხბას აზრით: „ამ ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, გამოდის, რომ კანონი მიიღება ერთი ცალკე აღებული რაიონისთვის, რაც უკვე გაუმართლებელია. მით უფრო, რომ თუ ასე მოხდა, ზედ საზღვრის პირას მივიღებთ რაიონს, სადაც გვეყოლება ჩვენს მიერ საქართველოს მოქალაქეებად აღიარებული ათასობით ადამიანი“ (არადა, ისეთი პირი უჩანს, რომ სწორედ ეს აღიარება სჭირდებათ მათ იქიდან გამოსაძევებლად). რაც შეეხება გალში ამჟამად მცხოვრებ ათასობით ადამიანს, აფხაზური საინფორმაციო წყაროების მიხედვით, მათი რაოდენობა 17 800-დან 20 000-ს შეადგენს, აქედან კი მხოლოდ 340-ია აფხაზეთის მოქალაქე. ჩვენი მონაცემებით, იქ ბევრად უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს. ეს ციფრი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ის, რომ მათგან მხოლოდ 340-ია აფხაზეთის მოქალაქე, ალბათ სიმართლეს შეესაბამება. აფხაზური მხარე თუ არ გაზრდიდა, არ შეამცირებდა ციფრს, რომელიც ნათლად მიანიშნებს გალის რაიონის მოსახლეობის სიმტკიცეზე, იმაზე, რომ ამ ადამიანებმა ამდენ წნეხს, ტანჯვა-წვალებას გაუძლეს და საქართველოს მოქალაქეობაზე უარი მაინც არ თქვეს.

საგულისხმოა, რომ არსად არაფერია ნათქვამი ტყვარჩელის რაიონის მოსახლეობაზე და თავის დროზე მისთვის „ნაჩუქარი“ გალის რაიონის 7 სოფელზე. საინტერესოა, ეს სოფლები და იქ მცხოვრები ადამიანები გამორჩათ თუ კანონში მათთან დაკავშირებით ცვლილებას ცალკე შეიტანენ?!

მშობლიურ სახლ-კარში „ბინადრობის უფლების“ მინიჭება – ეს ის განაჩენია (სხვა სახელს ვერ დაარქმევ), რომელიც გალის რაიონის ოდინდელ, წარმომავლობით და მენტალობით ძირძველ ქართულ მოსახლეობას მშობლიური მიწა-წყლის, სახლ-კარის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთგულებისათვის მარტოდმარტო თავდაუზოგავი ბრძოლის 25-ე წლისთავზე გამოუტანეს. ათას ჭირ-ვარამგამოვლილი მოსახლეობა ასეთი ვერაგული დილემის წინაშე ჯერაც არ მდგარა, რა ქნან, რა ილონონ, უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, ე. ი. მასთან განუყოფლობაზე, მიილონ აფხაზეთის მოქალაქეობა და ამით აღიარონ რუსეთის მიერ გათამაშებული აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა?! თუ უარი არ თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და დათანხმდნენ გალის რაიონში „ბინადრობის უფლების“ მიღებას და უკეთეს შემთხვევაში – „უცხოელის“ სტატუსით განვლონ დარჩენილი წუთისოფელი მშობლიურ სახლში და უარეს შემთხვევაში – დაელოდონ იმ დღეს, როცა „ბინადრობის უფლების“ ვადაამოწურულებს ენგურს გამოლმა გამოაპანღურებენ და მშობლიური მიწა-წყლიდან, ერთადერთი საცხოვრისიდან ფეხს „კანონის ძალით“ ვერაგულად ამოუკვეთავენ?!

უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული ჩვენი მოლოდინები თუ იმედები ყოველთვის შორს იყო და ახლაც შორს არის რეალობისგან. ამის მიზეზიცაა, რომ დღეს გალის რაიონის მოსახლეობა სიკვდილზე უფრო ძნელი დილემის წინაშე ისევ მარტოდმარტო დგას და ამის საპროტესტოდ ჩვენი ხმა თითქმის არ ისმის როგორც ქვეყნის შიგნით და ისე მის ფარგლებს გარეთ.

გარდა აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტარებისა, უბრალო აფხაზებს შორისაც არიან თურმე პიროვნებები, რომლებიც გალის რაიონის მოსახლეობისთვის „ბინადრობის უფლების“ მინიჭების გამო ერთგვარ უხერხულობას გრძნობენ. ისინი ჩუმად აფრთხილებენ ქართველებს, საკუთარი ნებით არ აღასრულონ მათთვის გამოტანილი განაჩენი, არავითარ შემთხვევაში არ აიღონ „ბინადრობის უფლება“, რომელსაც არავინ იცის, როდის დაუდებენ საფუძვლად მშობლიური სახლიდან მათ გამოძევებას! თუმცა სამართლის მოყვარული ამგვარი ადამიანები, როგორც ყველგან, ისე აფხაზეთშიც ამინდს ვერ ქმნიან, მით უმეტეს, პოლიტიკას ვერ ცვლიან.

გულწრფელად ვიტყვი, ჯერ კიდევ იანვარში დაწყებული და მარტში დასრულებული ამ წერილის გამოქვეყნებისგან თავი შეგნებულად შევიკავე, თავს ვიიმედებდი (სინამდვილეში ვიტყუებდი), რომ გალელებისთვის „ბინადრობის უფლების“ მინიჭების საკითხს აფხაზეთის ე. წ. პარლამენტის მარტის არჩევნების შემდეგ მოსული დეპუტატები უფრო საღად შეაფასებდნენ და მის ამოქმედებას ვეტოს დაადებდნენ. ამასობაში, თვითმხილველთა გადმოცემით, გალში გამწვავდა „„ბინადრობის უფლების“ მიღების საკითხი, რადგან მოსახლეობის ნაწილის ერთადერთ საბუთს – ე. წ. „„ფორმა 9“-ს ვადა გაუვიდა და მათ ენგურზე მიმოსვლა შეეზღუდათ. ქართველების მეორე ნაწილი, რომელმაც კარგად გაიაზრა ამ „ცვლილებაში“ ჩადებული ვერაგობა, ამბობს, რომ თავად არ აპირებს ქართველებზე ზემოქმედების ბერკეტად მოფიქრებული ამ „სატყუარა-დოკუმენტის“ აღებას და მზად არის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ენგურზე გადასვლა-გადმოსვლისგან თავი შეიკავოს. ისინი, რა თქმა უნდა, სხვებსაც ამასვე ურჩევენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული ჩვენი მოლოდინები თუ იმედები ყოველთვის შორს იყო და ახლაც შორს არის რეალობისგან. ამის მიზეზიცაა, რომ დღეს გალის რაიონის მოსახლეობა სიკვდილზე უფრო ძნელი დილემის წინაშე ისევ მარტოდმარტო დგას და ამის საპროტესტოდ ჩვენი ხმა თითქმის არ ისმის როგორც ქვეყნის შიგნით და ისე მის ფარგლებს გარეთ.

იანვრიდან დღემდე გასულ ექვს თვეში რა მოვიფიქრეთ საიმისოდ, რომ გალის რაიონში ქართული გენისა და სულის მეციხოვნენი მშობლიურ სახლში (პროგრესული საერთაშორისო საზოგადოების თვალწინ) უკეთეს შემთხვევაში – „უცხოელებად“ არ გამოაცხადონ, ხოლო უარეს შემთხვევაში – იქიდან არ გამოყარონ? როგორ ვუდგავართ მხარში ადამიანებს, რომელთაც ორივე თვალი და ყური აქეთკენ აქვთ მოპყრობილი და როგორც სიკვდილმისჯილები შეწყალებას, ისე ელიან ჩვენგან რჩევას, რა ქნან, როგორ მოიქცნენ, რომ 24-წლიან ლოდინში გალეული წლები სრულიად ამაო არ გამოდგეს?! როცა, „შინ მყოფნი შინ დაბრუნებაზე ოცნებობდნენ“ და ენგურის ხიდზე თუ მის ფონებზე გადასვლა-გადაპარვისას ზურგზე მოკიდებულ ტვირთსაც მხოლოდ იმედით მიათრევდნენ. ამ კითხვაზე უტყუარი პასუხი ჩვენ უნდა გვქონდეს, რადგან ეს წლები არაფერი გვიკეთებია მათი ქმედებების განსჯის გარდა. ამასთანავე, გამოსავალი – გზები და ფონები დისტანციიდან უკეთ ჩანს!

და თუ სათქმელი არ გვაქვს, პასუხი არ ვიცით, რატომ არ გვაქვს, რატომ არ ვიცით? კიდევ რისი იმედი ან მოლოდინი გვაქვს? საკუთარი თავის მოტყუების გარდა, რატომ არაფერი ვაკეთეთ ეს წლები? არ ვიცოდით, რომ გალის რაიონში ქართველების – აფხაზეთის უკანასკნელი მეციხოვნეების განკითხვის დღეც დადგებოდა?!. ან თუ ვერ ვბედავთ გულწრფელად ვუთხრათ, რა ქნან, როგორ მოიქცნენ, მაშინ ვაღიაროთ და ვთქვათ, რომ იმ ტრაგედიაში, რაც დღეს გალის რაიონში ხდება, ყველას მიგვიძღვის ბრალი, რადგან ხელისუფლებ(ებ)ის უმოქმედობის წისქვილზე ჩვენც მივუშვით წყალი.

დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რას ეუბნება ამ ადამიანებს ხელისუფლება? რას ვეუბნებით ჩვენ – ქართველი საზოგადოება? არ გამოგვივა, რომ ახლა ფრონტის ხაზზე ისედაც მარტოდმარტო დარჩენილ ადამიანებს შევატოვოთ ეს პრობლემაც, ჩვენ კი განზე გავდგეთ და აფხაზეთში არსებულ გამოწვევებზე შინ თუ გარეთ ბრძნულად ვილაპარაკოთ.

გალის რაიონის მოსახლეობა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა! ის ჩვენგან გადამწყვეტ სიტყვას ელის!

ნატა გრიგოლია,
სოხუმი-გალი-თბილისი.

მაყვალა გონაშვილი:

ჩვენმა შვილებმა გმირობის ფასი მხოლოდ წარსულის მაგალითებით არ უნდა გაიგონ

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი წინა დღის ჩამოსული იყო თიანეთიდან, როცა „ცხელ კვალზე“ ინტერვიუ ჩამოვართვი.

— თიანეთში გასვლა, როგორც ჩანს, რაღაც სიახლეებთან იყო დაკავშირებული.

— თიანეთის გზა ყოველთვის ძნელად სავალი იყო. იმდენად ძნელი, რომ რაგინდ გყვარებოდა ეს კუთხე, მაინც მიგყვებოდა უსიამოვნებისა და დისკომფორტის განცდა.

ახლა ეს პრობლემა აღარ არსებობს, რადგან შესანიშნავი, თანამედროვე სტანდარტების გზა ჩადგა მწყობრში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან განვითარების პერსპექტივა აქვს შესანიშნავი, კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის კახეთთან და სხვა კუთხეებთან დაკავშირების თვალსაზრისით: გზები მოკლდება, მგზავრობის დრო მცირდება. ამაზე და, საერთოდ, რაიონის განვითარების საკითხებზე გვესაუბრა სტუმრად ჩასულებს აქაური მაჟორიტარი დეპუტატი **ზაქარია ქუცნაშვილი,** მოღვაწე ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბევრი სხვა კოლეგისგან იმით განსხვავდება, რომ საზოგადოებრივი საქმის კეთება მიაჩნია დეპუტატის უპირველეს მოვალეობად. ეს გზაც და ბევრი სხვა სიკეთე, რომლებიც რაიონში ამ ბოლო დროს დაინერგა, მისი წამოწყებულია.

ეს დღე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ თიანეთში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელობის სკვერი და მემორიალი. ესეც ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივა იყო, რომელსაც მხარი დაუჭირა და რეალობად აქცია ერთმა ქველმოქმედმა და ღირსეულმა ადამიანმა თამაზ სომხიშვილმა.

ჩვენდა სამწუხაროდ, სიკეთეს ხშირად ტელეეკრანზე გამოჩენისთვის აკეთებენ: ისედაც მდიდარი და ძვირად ღირებული შოუების დაფინანსებით ცდილობენ არამად გამდიდრებული ბიზნესმენები თავის გამოჩენასა და გაკეკლუცებას. ეს ადამიანი კი იმდენად მორიდებულია, რომ ზეიმის სცენაზეც არ ავიდა.

ზაქარიასთან ერთად მადლობა მასაც ეკუთვნის, ისევე, როგორც არქიტექტორებს, მშენებლებს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და გზებითა თუ ახალი ნაგებობებით, შესანიშნავი ინფრასტრუქტურით აღჭურვეს ეს მთიანი მხარე.

ზურაბ იარაჯული რუსეთში, მფრინავთა სკოლაში სწავლობდა. 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს ძალიან რომ გაუჭირდა, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. დედას რჩევა ჰკითხა. უნდა ჩამოხვიდეო, დაუდასტურა დედამ. ამ 22 წლის ბიჭმა 51 საბრძოლო გაფრენა განახორციელა. უკანასკნელზე დაიღუპა. ჩემთვის, როგორც ქალისთვის და დედისთვის ყველაზე უფრო ტრაგიკული იყო იმის გაგება, რომ დედამ, რომელსაც შვილის დაღუპვის ამბავი შეატყობინეს, სიცოცხლე მოისწრაფა.

მემორიალის გახსნას რომ დავესწარი, ისეთი განცდა შემექმნა, რომ აქ შეკრებილ გამორჩეულ საზოგადოებასთან ერთად მეც ორი გმირი ადამიანის ხსოვნისადმი პატივის მიგების ცერემონიას ვესწრებოდი.

დიდი ქართველი პოეტების ირაკლი აბაშიძისა და გოგლა ლეონიძის ლექსები კაპიტან ბუხაიძეზე თუ „ღიმილის ბიჭი ვიყავი“ და სხვა და სხვა, ჰიმნად იყო ქცეული; მირზა გელოვანი, ეს თიანელი ბიჭი, ხომ თავად არის მამულისთვის თავგანწირვის საოცარი მაგალითი.

ვფიქრობ, რომ თანამედროვე მწერლები, ამ ჩვენი ყოფის გამო სხვა საკითხებზე გადავერთეთ, და არ ჩანს იმ რანგის ნაწარმოებები, ხოლო კერძო ბანკირები თავიანთი დაწესებული პრემიებით უფრო სხვა, ხშირად გამოგონილ თემატიკაზე დაწერილი ოპუსების ავტორებს წაახალისებენ. თითქოს მიიჩქმალა ისეთი თემები, როგორიცაა სამშობლოს ერთგულება, სამშობლოს სიყვარული, სამშობლოსთვის თავგანწირვა.

ამ გმირების წინაშე ჩვენ, მწერლები ვალში ვართ. მოგეხსენებათ, რომ სიტყვას, ლექსს განსაკუთრებული ძალა აქვს. თავისთავად გმირობა ერთი დიდი საქმეა, ხოლო, როცა გმირებზე რაიმე დაიწერება, ეს თითქოს მეორე უკვდავებაა, რადგან მარადიულად რჩება ადამიანის ცნობიერებაში მათ სადიდებლად თქმული სიტყვა და ლექსი. ასეთ ადამიანებს ეკუთვნით მწერლებისგან მეტი ყურადღება, დაფასება, სიტყვის შეწევნა, შეიძლება, ასეც ითქვას.

ეს ჩვენი შვილებისთვისაც უნდა გავაკეთოთ. მათ გლობალურ თემებზე, უამრავ საკითხზე ესაუბრებიან, ზოგი მისაღებია, ზოგი — არა. მაგრამ გმირობის ფასი მათ მხოლოდ წარსულის მაგალითებით არ უნდა გაიგონ, თანამედროვეობიდანაც უნდა იცოდნენ.

— პოეტურმა სიტყვამ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი ძალა ხომ არ დაკარგა? ვერ მოძებნეს ქართველმა მწერლებმა თავიანთი ადგილი დღევანდელ ვითარებაში?

— ჩვენმა ქვეყანამ რა არ გადაიტანა, სამოქალაქო ომი ვთქვათ, თუ „გონების ტექნოლოგიური სამყარო მოგვევლინა მოდის დამდგენად. ფეისბუქი იქცა ჭორების ბუდედ, ტელევიზია — უმეტესად მოსულელო ტელეპოეტებისა და ცრუ ხელოვანთა პროპაგანდის საშუალებად.

— მაგრამ ხალხი რომ ინტერესით უყურებს ასეთ ეკრანს? ეს ნიშნავს, რომ დაკნინდა ჩვენი ცნობიერების დონე, ჩვენი მსოფლშეგრძნება შეიზღუდა?

— არა. ორად გაყოფილი ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი ინტერესით ეკიდება ასეთ თემებს. მეორეს კი, ნებსით თუ უნებლიეთ, უჩნდება სურვილი, გამოჩნდეს ეკრანზე არა იმიტომ, რომ მას ეს სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ რაღაც უნდა უთხრას ერს, მაგრამ ვერ ახერხებს. ვერ გაარღვია ეს სივრცე.

ერთ მაგალითს დაგისახელებთ. ახლახან მწერალთა კავშირმა დაარსების 100 წლის იუბილე აღნიშნა — ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი ხალხისთვის. სხვა თუ არაფერი, ეს შემოქმედებითი ორგანიზაცია დაარსებულია ისეთი ბუმბერაზების მიერ, რომელთა ღვაწლის დაფასებისთვის, ჩვენი დიდებული წარსულისთვის მაინც უნდა გვეცა პატივი და ეს იუბილე მთელი ჩვენი ერის ზეიმად უნდა წარმოჩენილიყო.

ჩვენ მიერ ჩატარებული საიუბილეო ღონისძიება, როგორც ყველა აღნიშნავს, საკმაოდ მაღალი დონისა იყო. მოწვეული

ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს ორი საქართველოა. ერთი — ეკრანზე მოზეიმე, მეორე — ფიქრიანი, რომელიც ისე განიდევნა მასმედიიდან, როგორც კეთროვანი ავადმყოფი.

მალაყი“, როგორც დღეს უწოდებენ, როცა ეროვნულ ფასეულობებს შეეხნენ და ცნობიერების გარდაქმნა ამ „მალაყის“ განხორციელებით მოინდომეს ზოგ-ზოგებმა.

ისეთი განცდა მრჩება, რომ დრომ გაასწრო მწერალს. ადრე ჭეშმარიტი მწერალი ასწრებდა დროს. ეს იყო მისი უპირველესი მისია.

დააკვირდით ჩვენს ტელეეკრანებს, სადაც მხოლოდ მოზეიმე, მოსულელო სახეებს გვაჩვენებენ. თითქოს მარტო ესა ვართ ქართველები. თითქოს ჩვენი ეროვნული პრიორიტეტია, რომ ქალს უნდა ჰყავდეს მინიმუმ ოთხი ქმარი, რაც შეიძლება სულელურად უნდა მოიქცე კამერების წინ, საინტერესო რომ გამოჩნდე.

ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს ორი საქართველოა. ერთი — ეკრანზე მოზეიმე, მეორე — ფიქრიანი, რომელიც ისე განიდევნა მასმედიიდან, როგორც კეთროვანი ავადმყოფი.

ჩვენდა სამწუხაროდ, თუ უწინ მწერალი ძალიან დიდ გავლენას ახდენდა ერის ცნობიერებაზე, ახლა

ტექნოლოგიური სამყარო მოგვევლინა მოდის დამდგენად. ფეისბუქი იქცა ჭორების ბუდედ, ტელევიზია — უმეტესად მოსულელო ტელეპოეტებისა და ცრუ ხელოვანთა პროპაგანდის საშუალებად.

— მაგრამ ხალხი რომ ინტერესით უყურებს ასეთ ეკრანს? ეს ნიშნავს, რომ დაკნინდა ჩვენი ცნობიერების დონე, ჩვენი მსოფლშეგრძნება შეიზღუდა?

— არა. ორად გაყოფილი ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი ინტერესით ეკიდება ასეთ თემებს. მეორეს კი, ნებსით თუ უნებლიეთ, უჩნდება სურვილი, გამოჩნდეს ეკრანზე არა იმიტომ, რომ მას ეს სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ რაღაც უნდა უთხრას ერს, მაგრამ ვერ ახერხებს. ვერ გაარღვია ეს სივრცე.

ერთ მაგალითს დაგისახელებთ. ახლახან მწერალთა კავშირმა დაარსების 100 წლის იუბილე აღნიშნა — ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი ხალხისთვის. სხვა თუ არაფერი, ეს შემოქმედებითი ორგანიზაცია დაარსებულია ისეგვყავდა ტელევიზიები. მოვიდნენ: საზოგადოებრივი მაუწყებელი, „იმედი“, „რუსთავი-2“. მოვიდნენ მაგრამ არცერთმა საჭიროდ არ ჩათვალა სოლიდურად წარმოჩენილიყო ეს იუბილე ტელეეკრანზე. მხოლოდ დილის პროგრამაში ერთწუთიანი გაელვებით დაკმაყოფილდნენ.

არავითარი ინტერესი!

ასეთი დამოკიდებულება ხელოვან ადამიანზე ძალიან ცუდად მოქმედებს, იმაზე უარესად, ვიდრე 37 წელს იყო. იმ დროს ადამიანს შინაგანად მაინც ჰქონდა თავისი პიროვნების მნიშვნელობის განცდა, საქართველოსთვის იმდენად აუცილებელ და საჭირო საქმეს ემსახურებოდა, ისე ვაჟკაცურად იყო აღმდგარი ერისა და საკუთარი ღირსების დასაცავად, რომ ვერ გატეხეს, ვერ მოერივნენ და თავიდან მოცილება ლიკვიდაციითღა შეძლეს.

— თავშეწირული კაცის ამაღლებული განცდაა.

— დღეს კი, დღევანდელმა საინფორმაციო ვაკუუმმა, სიტყვა „ეროვნული“ ცნობიერებიდან ამოაგდო და ერის ტკივილები გამოგონილი ტკივილებით ჩანაცვლა.

სწორედ ეს ნეგატივი გადაფარა თიანეთში მოწყობილმა ზეიმმა, რომელმაც, ჩემი აზრით, არა მხოლოდ დღევანდელი დღის სიკეთე დაგვანახა, არამედ ხვალინდელი დღის სიმბოლოდაც წარმოგვიდგა.

— ქალბატონო მაყვალა, ამ ჩვენი გაორებული, არეული, ცოტა დაბნეული და დაპირისპირებებით კალაპოტიდან ამოვარდნილი დედაქალაქიდან პერიფერიაში გასვლა, განსაკუთრებით — მთაში, ყოველთვის პოზიტიურად მუხტავს ადამიანს. თქვენ თუ იგრძენით ეს პოზიტივი?

— რა თქმა უნდა, ვიგრძენი. ამ ბოლო დროს აქტიურად დაიწყეს სოფელზე ფიქრი და კარგი პროექტებიც ხორციელდება მთიან რეგიონებში. მაგრამ ვფიქრობ, ცოტა უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ამ საქმეს, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში აღარ გვაქვს სოფელი. მე დედოფლისწყაროს რაიონიდან ვარ, არბოშიკიდან და ჩემი სოფლის მაგალითზე შემიძლია, გითხრათ, რომ სხვაობა არნახულად დიდია. სამწუხაროდ, უარყოფითი ნიშნით. მახსოვს, როგორ დუღდა იქ სიცოცხლე, სოფელი სავსე იყო ახალგაზრდებით. დღეს კი კანტიკუნტი მოხუცის ანაბარად არის დარჩენილი. ცალკე ესენი გიქმნიან სევდიან განწყობილებას, ცალკე — მიუხედავი სახლ-კარი.

დაიწყო კარგი საქმეების კეთება ხელისუფლებამ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მეტი ტემპი სჭირდება, უფრო გააქტიურება.

აკეთებენ, მაგრამ დუნედ. არის საკითხები, რომლებსაც სწრაფად უნდა მოგვარება. არის საკითხები, რომელთა შესახებაც სხვების მოსმენაც არ იქნება ურიგო. განსაკუთრებით, დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად.

ხოლო ის, რაც ვნახე თიანეთში, ერთ-ერთი დადებითი ნაბიჯია სოფლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული, ხიდი, დღევანდელი საქართველოდან მომავლისკენ.

P.S. მკითხველი დამეთანხმება, რომ გულწრფელი, ფიქრიანი და დღევანდელობის პრობლემების ტკივილიანი აღქმით არის გამორჩეული ქალბატონ მაყვალას ეს სახელდახელო ინტერვიუ. გაბედული და პირდაპირი. ისეთი, როგორიც მისი პოეტური სტრიქონები — მიზანში ზუსტად მორტყმული ისარი:

არა მარტოდენ
მამულის, ანდა
არა მარტოდენ
წინაპრის ვალით,
საქართველოში
ათგზის ძნელია
იყო პოეტი
და იყო ძალი.

ესაუბრა
არმაზ
სანეგლიძე

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲰᲙᲘᲓᲘᲐᲗ ᲣᲢᲠᲣᲮᲣᲜᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ?!

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ,

თავის დროზე განუხორციელებლად მიაჩნდათ რადიო, ფოტოგრაფია, ტელეფონი, ელექტრობა, ხმის ჩაწერა, კინო, ტელევიზია, ავტომობილი, კომბაინი, თვითმფრინავი, კოსმოსში გაფრენა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კომპიუტერიც კი. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე დანერგილ ამ გამოგონებებს ურთულესი წინააღმდეგობები ხვდა იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ტექნიკურ პროგრესს ყოველთვის უწყობდნენ ხელს. და აი, ერთი თვალსაჩინო ფაქტი: „ამჟამად ცნობილი ნივთიერებების არანაირი შერწყმით არ მიიღება ისეთი აპარატი, რომლითაც ადამიანის ჰაერში გაფრენა იქნება შესაძლებელი“ — ეს სიტყვები ცნობილ პროფესორს, ასტრონომს, მეტად სახელოვან მეცნიერს, კონტრადმირალ საიმონ ნიუკომს ეკუთვნის. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ეს სტატია, რომელშიც ჰაერზე მძიმე აპარატების ფრენა „ანტიმეცნიერულ ბოდვად“ არის მონათლული, აშშ-ში 1903 წლის ზაფხულშია დაწერილი. ძმები რაიტები აეროპლანით კი 1903 წლის 17 დეკემბერს აფრინდნენ ჰაერში. ახლა კი ამერიკიდან თბილისში გადმოვინაცვლოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1910 წლის 24 ოქტომბერს გამოჩენილმა მფრინავმა ბესარიონ ქებურიამ ჩვენს დედაქალაქში განახორციელა პირველი გაფრენა. ზოგმა ეს ამბავი იმდენად დაუჯერებლად მიიჩნია, რომ თვითმფრინავის მიწაზე დაშვებისას ფინიშთან მისულები გმირს ღიმილით კი არ შეეგებნენ, არამედ მიახალეს: „აი ახლა ეს ორი ტომარა ბატიბუტი წაიღე და თუ მართლა აფრინდები, იქიდან გადმოყარეო“. მედუქნე ასათიანს — „უტრუხუნეს“ მართლაც გაუტანია ის ორი ტომარა, რომელიც გადმოუყარეს. მიუხედავად იმისა, რომ ცაში იმჟამად უზარმაზარი „ლითონის ჩიტი“ აფრინდა, თვალს არ დაუჯერეს და ფიზიკური შეგრძნების დონეზე დაიყვანეს გრანდიოზული მნიშვნელობის ინოვაცია, მით უმეტეს, რომ უკვე 7 წელი იყო გასული 1903 წლიდან, ძმები რაიტების გმირობიდან.

აღნიშნული არგუმენტები თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ გამოგონება შეტევებისა და გაკიცხვის საგანი ხდება არა თავისი უვარგისობის, არამედ სწორედ პირიქით, პროგრესულობის გამო. სწორედ პროგრესულობის გამო 40 ათასით არ დააფინანსეს პოპულარიზაციის მიზნით ვენახების გაშენება ახლებურად, „სტარტაპ საქართველოს“ უტრუხუნე ექსპერტებმა, რადგან ინოვაცია არ ჩათვალეს სიახლედ, მაშინ, როცა მის განაცხადზე №4662860 გაცემულია ორი საავტორო უფლება: №1664182 და №1664183, **და ეკონომიკური ეფექტი მილიარდია. ამ მილიარდის დასარწმუნებლად დავურთავ არა დასკვნას, არამედ მოვიყვან კონკრეტულ ფაქტს. 3 მეტრი ფართორიგიანი ვენახების ნაცვლად ვენახები შენდება 1,5 მეტრი რიგთაშორისებით, მაღალ-დაბალ ფორმირებებით (იხ. სურათი), ტრაქტორმა დაბალ რიგს რომ გადააბიჯოს და ერთი გავლით ორი რიგი დაამუშაოს. 50%-ით შემცირდეს მექანიზაციის ხარჯები და ქვეყნის მასშტაბით მევენახეების საკეთილდღეოდ გამონთავისუფლდეს 100 ათას ჰექტარამდე მიწა (ფართო რიგების ხარჯზე). შეგახსენებთ იმასაც, რომ ეს გამოგონება საჩუქრად გადავეცი საქართველოს,** პატენტი №245, იმ მიზნით, რომ ჩვენი ქვეყანა ყოფილიყო ამ ინოვაციის პიონერიც და პატენტმფლობელიც, ვაზის სამშობლომ იამაყოს არა მარტო იმით, რომ ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა შექმნეს 500-ზე მეტი ჯიში, არამედ მევენახეობის ახლებურად განვითარებითაც. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ახლებურად განვითარების სურვილიც არა აქვთ „სტარტაპ საქართველოს“ ექსპერტებს და მის დირექტორს ვაჟა მენაბდეს, რადგანაც მან მაცნობა, თქვენ მიერ მოწოდებულ ბიზნესგეგმაში არ იყო გამოკვეთილი და დასაბუთებული ეკონომიკური საკითხებიო, მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული ძირითად საკითხებსაც ადასტურებს, და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი — მევენახეობაში მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასაც, და ვაზის სამშობლოს ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ინტერესი რა, ეს არ უნდა იყოს? ასევე შექმნილი მაქვს ვაზის წამლობის ჯერადობის შემცირების პრეპარატი, რითიც ვიღებ თვალსაჩინო შედეგებს, და ასეთი სიახლეები „სტარტაპ საქართველოს“ უტრუხუნე ექსპერტებს ფეხებზე უნდა ეკიდოთ?

ვაჟა მენაბდემ მითხრა — „ოცი წლის წინათ შენი გამოგონება ტელევიზიაში ვნახე და თუ კარგი იყო, რატომ არ დაინერგა?“ აი, ასეთი არგუმენტებით უნდა ფასდებოდეს დარგის წინსვლა?

უმორჩილესად გთხოვთ მიპასუხოთ, სჭირდება თუ არა აღნიშნული ინოვაციები საქართველოს? და თუ სჭირდება, დაინტერესდით ჩემი გამოგონებებით და დაავალეთ მათ მიუკერძოებლად განიხილონ ჩემი სიახლეები.

აქვე გთავაზობთ ჩემს პოეტურ ნაღვაწს, სადაც ჩემივე საგამომგონებლო მიზნები და სურვილები გამოვხატე შეძლებისდაგვარად.

ᲐᲮᲐᲚ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ!..

დღეიდან უკეთ მეცოდინება
გამოგონება კაცის ნიჭია,
და ის ზეციდან მოედინება,
ხან მიგნებაა, ხან ბღაუჭია,

ახალ იდეას დაცინვაც ახლავს,
ხალასი ნიჭი საურავს იტანს,
მაგრამ გულს მაინც წუხილი ლახავს,
სანამ ავტორი ლელოს გაიტანს.

მე მირჩევნია უღრანი ვკაფო,
ასე მივიდე დაბერებაში,
ვიდრე ვიცხოვრო, რომ მხოლოდ „ვქაფო“
და არ აღმოვჩნდე ელვარებაში.

მე ჩემი ქვეყნის წინსვლა მახარებს,
და ამიტომაც გულით მინდება,
მედგრად დავჭექო და ვუხმო ზარებს,
რაც არასოდეს არ მომწყინდება.

როგორც წინაპრის გამხსენებელი,
ისე სიკეთის ამომცნობელი
და საქართველოს დამმშვენებელი
ერი, სიცოცხლით დაუჭკნობელი.

ამ ლექსით წადილს დაველოდები,
რომ მოვაბნიოთ ია-ვარდები,
მაგრამ თუ კი წინ დამხვდა ლოდები,
გავწევ და თქვენთან შემოვვარდები

მძიმე უღელის დამხობისათვის,
და არა მადლის წყალობისათვის,
ვაზის სამშობლოს დიდებისათვის
და უკეთესი მერმისისათვის.

სტროფებს სჭირდება წინ გაქანება,
აზრებს კი ცხადში ახმოვანება,
არამც და არამც დაგვიანება,
თუ მართლა გვინდა აღფრთოვანება

არა ვისიმე ქველისათვისა,
ან ჩემი შვილის გულისათვისა,
და არც ურჩ თამაზ ქვლივიძისთვისა,
სათაყვანებლად ქვეყნისათვისა.

პატივს მიაგებს ერი მთავრობას,
ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას,
თუ დაამარცხებს უმუშევრობას
და განადიდებს შთამომავლობას.

არსი თუ არსად ჩაიძირება,
და რითმის ჟღერით დაიწურება,
ქართულ მამულის აწ ნეტარება
დიახაც სწრაფად დაიწერება.

* * *

წინაპარი ისევ გვმოძღვრავს, ღვინოც ისევ
ტკბილად გვათრობს,
ამიტომაც ქართველების ადათ-წესებს
ბევრი ნატრობს.
გული ამით კარგად ფეთქავს, უფრო მეტად
მაშინ ხარობს,
როცა ისმენ — საქართველო ვაზის ჯიშებს
წინამძღვარობს.
დღეს და ღამეს გავასწორებ ჩემი ქვეყნის
გულისათვის,
და არასდროს არ გადავდებ ერის საქმეს
ხვალისათვის,
თუნდაც მქონდეს გულში სევდა, და ეს იყოს
შვილისათვის,
**მიჯობს მარჯვედ დავიხარჯო მოსახდელი
ვალისათვის**.

გულსახარად, მოწიწებით ნამოღვაწარს
გავიხსენებ,
ჩემი ყოფით ღმერთს მადლობას აწი საქმით
შევახსენებ,
დღევანდელ და ხვალის მკითხველს ამგვარ
სიტყვებს მოვახსენებ -
**კაცსა მუდამ სიამეს ჰგვრის, გზას თუ
ტკბილად გაუხსენებ**.

დაე, იყოს სამახსოვრო, რაცა ვთქვი ომახიანად:
ქვეყანა მედგრად წაიწევს და არასოდეს ზიანად,
თუ დავამკვიდრებთ მუდამჟამს კანონს და
წესებს ფხიანად,
არ მართებულის მოსპობას და ქცევას
ლაზათიანად.

ფლიდობა ჩვენ ვერ გვიშველის, ის მხოლოდ
ერის წყლულია,
რადგან სუყველგან ეს სენი დამღუპველი და
კრულია.
სჯობს ამოვძირკვოთ ეს ჭირი, რაც ჭირის
დასასრულია,
უსამართლობით, ზანტობით ხვალის დღე
დაბურულია.

რა იქნებოდა სანაცვლოდ მეჭექა სიხარულია,
მაგრამ ერისთვის უბირი მარადჟამს გაყინულია.
ვისი არსებაც, ბაასიც სიბოროტე და წყლულია,
მისი ბოგინი მიწაზე, ვაგლახ, რომ ნიშნად ნულია,

კაცის ერთგულის, კეთილის ხილვა იმიტომ ძნელია,
ვგონებ, ამ ქვეყნად მრავალი ბრიყვი და თანაც
გველია,
საუბედუროდ ასეა, რაც მტრობის საფუძველია...
ეს სალოცავი ქვეყანა ხომ ჩვენი მოსავლელია.

იქით-აქეთ მიტომ ვწვდები, უჯილაგო მინდა მიხვდეს,
მან სიახლე თუ იხილა, არ ეძგეროს, რომ არ წახდეს,
გაიაზროს, იმოქმედოს და მომავალს გონით შეხვდეს,
თუ გვინდა, რომ ნეტარების საწადელი მართლაც
ახდეს.

საღი აზრით, მართებულად, სამომავლოდ,
ახლებურად,
სამჯობინო ნაბიჯებით, არაფერი სხვა მდაბლურად,
რაგვარადაც წინაპრები მოქმედებდნენ ძველებურად,
**სჯობს ვიცხოვროთ კვლავ კაცურად და არა
მამაძაღლურად**.

აწი მინდა მოკლედა ვთქვა, თან წარვმართო რითმის
წყობა,
რომ ფრიადზე ჩაგაბაროთ, რაა ჩემი აქ განწყობა.
მე სიმდიდრე არ მჭირდება, არც საჩინოდ გამოწყობა.
მინდა, მხოლოდ ის ვიცოდე, რად სჭირდება ნიჭს „ჩაწყობა“.

მუზა უკვე გულს შორდება, რადგან რითმა
მიცხარდება,
და ხალისით ლექსის სიღრმის დედააზრი აქ
მთავრდება:
საქართველო უმოკლესად მაშინ განვითარდება,
თუ ღვთის ნაბოძი სიმდიდრე სიღარიბეს მოხმარდება.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ
599 10 43 18

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



აი, რას იხსენებდა სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ვიაჩესლავ მოლოტოვი:

— როგორი იყო სტალინი ურთიერთობაში?

— უბრალო, ძალიან, ძალიან კარგი, კომპანიური ადამიანი. იყო კარგი ამხანაგი. მე მას კარგად ვიცნობ.

— უყვარდა შამპანიური?

— კი, შამპანიური უყვარდა. ეს მისი საყვარელი ღვინოა. ის შამპანურით იწყებდა...

— რომელ ღვინოებს სვამდით თქვენ სტალინთან ერთად? ქინძმარაულს?

— ქინძმარაულს — ცოტას. აი მაშინ იყო...

— წინანდალი?

— ა-ა-არა, წითელ ღვინოებს. მე ვსვამდი სხვა ქართულ ღვინოს. ხოლო როდესაც ჭიქას არ ვავსებდით, ბერია მეუბნებოდა: „როგორ სვამ?“ — „ვსვამ, როგორც ყველა“.

ეს მომჟავო ღვინოა, ყველა კი სვამდა ტკბილ ღვინოს, მოტკბოს... რა ჰქვია... ჯანდაბას...

— ხვანჭკარას?

— არა, ხვანჭკარას იშვიათად. ოჯალეშსაც ვსვამდით. ძალიან ბევრს. ომამდე.

— ცოლიკაურს? — მკარნახობს შოთა ივანეს ძე.

— ცოლიკაური! — გაახსენდა და წამოიძახა მოლოტოვმა. — ის ღვინოს ცოტას სვამდა. უპირატესობას კონიაკს ანიჭებდა, ცოტას, ჩაისთან ერთად“...

„სტალინს უყვარდა ჩაის სმა. ჩვეულებრივად, სხდომის დროს, ის აჭერდა თითს ღილაკს. პოსკრებიშევს მიაქვს ჭიქა ჩაი და ლიმონი. სტალინი ლიმონს ჩაიში წურავდა, შემდეგ მიდის დასასვენებელ ოთახში, გამოაქვს სომხური კონიაკის ბოთლი, იქიდან ჩაიში ასხამს ერთ ან ორ კოვზს და გააქვს ბოთლი უკან და მუშაობის დროს სვამს ჩაის ყლუპებით“, — ეთანხმება მოლოტოვს მარშალი ვასილევსკი. კონსტრუქტორი იაკოვლევიც თითქმის იმავეს წერს: „შემოიტანეს სამი ჭიქა ჩაი ლიმონით. სტალინისთვის — ცალკე როზეტზე — შუაზე გაჭრილი ლიმონი. მან ერთი ნახევარი — თავის ჭიქაში ჩაწურა.

სტალინს შეეძლო ჩაის სმა, შეეძლო ესვა მაგარი ჩაი, მაგრამ ჯანსაღი გონება მას არასოდეს ღალატობდა. 1939 წლის 23 აგვისტოა. თავდაუსხმელობის შესახებ გერმანელებთან ხელშეკრულების ხელმოწერაა. რეიხის საგარეო საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ფონ რიბენტროპი აყენებს წინადადებას გამოაქვეყნონ რაღაც მაღალფარდოვანი დეკლარაცია. ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობა. დიდი მიზნები. გაისმის ყალბად და აბსოლუტურად დაუჯერებლად. რა უნდა ვქნათ? ვუთხრათ რიბენტროპს, რომ მან სისულელე დაწერა? გავჩუმდეთ გერმანიასთან მეგობრობის ინტერესების გულისთვის? სსრ კავშირმა გერმანიის საელჩოს მრჩეველმა გუსტავ ჰილგერმა, რომელიც ესწრებოდა ხელშეკრულების ხელმოწერას და შემდგომ ბანკეტს, აღწერა, თუ როგორ დაანგრია ეს სიტუაცია სტალინმა. **„ხომ არ გეჩვენებათ, — თქვა მან, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრისკენ შემობრუნდა, — რომ ჩვენ ოდნავ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ საზოგადოებრივ აზრს ჩვენს ქვეყნებში? მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთს ნაბან წყალს ვასხამდით თავზე, ჩვენი ბიჭები — პროპაგანდისტები კი კანიდან ძვრებოდნენ; და ახლა კი უეცრად ვისწრაფვით ვაიძულოთ ჩვენი ხალხები დაიჯერონ, რომ მთელი წარსული დავიწყებულია და ნაპატივები? საქმე ასე სწრაფად არ კეთდება. საზოგადოებრივი აზრი ჩვენს ქვეყანაში, იქნებ გერმანიაშიც, თანდათანობით უნდა მოვამზადოთ ცვლილებებისათვის ჩვენს ურთიერთობებში, რომლებსაც მოიტანს ეს ხელშეკრულება“.**

ალექსანდრ გოლოვანოვის დიდებული წიგნის წყალობით შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ სვამდა სტალინი ჩერჩილთან ერთად. სერ უინსტონს უყვარდა სმა — ეს არაა საიდუმლოება. სსრ კავშირის ხელმძღვანელმა იცოდა ბრიტანეთის პრემიერის ეს სისუსტე და გადაწყვიტა, გამოეყენებინა იგი და უბრალოდ დაეთრო სერ უინსტონი:



„ვოროშილოვისგან მარჯვნივ ისხდნენ ბრუკი, შემდეგ ჩერჩილი, მის გვერდით სტალინი, შემდეგ მოლოტოვი და სხვები. სტალინმა ჩერჩილს დაუსხა ღვინო და წარმოთქვა მოკავშირეების სადღეგრძელო. ამის შემდეგ უმალვე ვოროშილოვმა აიღო მის წინ მდგარი ბოთლი, მიიწია სოლიდური მოცულობის ორი სირჩა, გაავსო ისინი და ერთი მათგანი მიაწოდა ბრუკს სიტყვებით: „„გთავაზობთ შესვათ ჩემთან ერთად დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალების სადღეგრძელო. ჩვენი წეს-ჩვეულებებით, ასეთ სადღეგრძელოს ბოლომდე ცლიან, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანი, ვისაც ამას სთავაზობენ, თანახმაა“.

და თავისი სირჩა გამოცალა. ინგლისელს აღარაფერი დარჩენოდა, რომ არ გაემეორებინა კლიმენტი ეფრემის ძის მაგალითი. მან ჩაიცალა სირჩა პირში, მაგრამ „წიწაკის ნაყენი არაყი“, ეტყობა, კარგად იყო დაყენებული, და მე დიდი ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს, თუ გაუძლებდა მას ინგლისელი, ვინაიდან მას სახეზე ეტყობოდა, რომ მასში მიმდინარეობს გრძნობათა დაპირისპირების საშინელი ბრძოლა: აშკარა მისწრაფება ჩაყლაპოს არაყი და ორგანიზმის ამდენადვე აშკარა დაპირისპირება. საბოლოოდ ნებისყოფამ აჯობა, არაყი დალია, მაგრამ სტუმარს თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. ამის შემდეგ კლიმენტი ეფრემის ძის გულკეთილი სურვილი — გააგრძელონ სადღეგრძელოები „წიწაკის ნაყენი არყით“ — გადაეყარა გალანტურ, თუმცა გადამჭრელ უარს.

ამ დროს ბრიტანეთის პრემიერის ხელში დავინახე სომხური კონიაკის ბოთლი. ეტიკეტის დათვალიერების შემდეგ მან შეავსო სტალინის სირჩა. საპასუხოდ სტალინმაც იგივე კონიაკი დაუსხა ჩერჩილს. სადღეგრძელოები ერთმანეთს მიჰყვებოდა. სტალინი და ჩერჩილი თანაბრად სვამდნენ. მე უკვე მქონდა გაგონილი, რომ ჩერჩილს შეუძლია დალიოს დიდი ოდენობის სასმელი, სტალინის შესახებ კი ამას არ ამბობდნენ. რაღაც იქნება?!

....სადღეგრძელოები გრძელდებოდა. ჩერჩილი თანდათან თვრებოდა, სტალინის საქციელში კი არაფერი იცვლებოდა. ეტყობა, ახალგაზრდობის გამო მე ძალიან გულღიად ვიჩენდი ინტერესს ორი დიდი პოლიტიკური მოღვაწის მდგომარეობისადმი: ერთი — კომუნისტია, მეორე — კაპიტალისტი, და ძალიან განვიცდიდი, თუ რითი დამთავრდებროდა ეს ყველაფერი... დაბოლოს, სტალინმა კითხვის ნიშნით შემომხედა და მხრები აიჩეჩა. მე მივხვდი, რომ უზრდელობაა გამოვიჩინოთ ამდენი აშკარა ცნობისმოყვარეობა, და შემოტრიალდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, და მე ისეთივე გულღიად, ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით დავიწყე მათი მზერა. როგორც ჩანდა, ჩერჩილმა დაიწყო რაღაც ზედმეტის ლაპარაკი, ვინაიდან ბრუკი, რომელიც ცდილობდა, გაეკეთებინა ეს რაც შეიძლება შეუმჩნევლად, დრო და დრო სახელოზე ექაჩებოდა. სტალინი კი, რომელმაც ინიციატივა თავის ხელში აიღო, უსხამდა კონიაკს თანამოსაუბრესაც და თავისთვისაც, უჭახუნებდა სასმელებს და ცლიდა სირჩებს, განაგრძობდა გულღია და, როგორც ჩანდა, მისთვის საინტერესო საუბარს.

შეხვედრა დასასრულს მიუახლოვდა. ყველა ადგა. დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ჩერჩილმა დატოვა ოთახი ხელის შეშველებით. დანარჩენებმაც დაიწყეს წასვლა, მე კი, როგორც მოჯადოებული, ვიდექი და ვუყურებდი სტალინს. რასაკვირველია, ის ხედავდა, რომ მე მას ვადევნებდი თვალყურს. მოვიდა ჩემთან და კეთილი, კარგი ხმით მითხრა: „ნუ გეშინია, რუსეთს არ დავლევ. აი ჩერჩილი კი ხვალ შეშფოთდება, როდესაც ეტყვიან, რომ მან აქ ილაყბა...“ ცოტა ფიქრის შემდეგ სტალინმა განაგრძო: „როდესაც დიდი სახელმწიფოებრივი საქმეები კეთდება, ნებისმიერი სასმელი უნდა გეჩვენებოდეს წყლად, და შენ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იქნები“.

საქმე, უწინარეს ყოვლისა, — ეს მთავარი იყო სტალინისთვის. ამიტომ ზოგჯერ მას შეეძლო მოდუნებულიყო. ასეთი რამეც ყოფილა. მემუარისტების უდიდესი უმრავლესობა ლაპარაკობს, რომ ის არასოდეს უწევდა ხმას. მე ვნახე ორი ისტორია, რომლებშიც იოსებ ბესარიონის ძემ რამდენჯერმე უღალატა თავის წეს-ჩვეულებებს — ილაპარაკოს წყნარი ხმით. პირველი მათგანი მოხდა თეირანის კონფერენციაზე სტალინის თარჯიმან ვალენტინ ბერეჟკოვთან დაკავშირებით.

„როდესაც ყველა განთავსდა მაგიდასთან, დაიწყო გაცხოველებული საუბარი. საუზმე წაიღეს, შემოიტანეს და წაიღეს ბულიონი ღვეზელით: მე მათ არ შევხებივარ, ვინაიდან სულ ვთარგმნიდი და აჩქარებით ვაკეთებდი ჩანაწერებს ბლოკნოტში. როგორც იქნა, შემოიტანეს ბიფშტექსი, და აქ თავი ვეღარ შევიკავე: ვისარგებლე მცირე პაუზით, მოვიჭერი კარგი ნაჭერი და სწრაფად ჩავიდე პირში. მაგრამ სწორედ იმ მომენტში ჩერჩილმა მიმართა სტალინს რაღაც შეკითხვით. თარგმანი მაშინვე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ პირი სავსე მქონდა და ვდუმდი. წამოიჭრა უხერხული დუმილი. სტალინმა გაკვირვებით შემომხედა. გავწითლდი კიბოსავით, არ შემეძლო სიტყვის წარმოთქმა და ამაოდ ვცდილობდი გავსწორებოდი ბიფშტექსს. საშინლად გამოვიყურებოდი. ყველა მე მომჩერებოდა, რის გამოც კიდევ უფრო გავოგნდი. გაისმა სიცილის ხმები, შემდეგ ხმამაღლა ხარხარი. ყოველმა პროფესიულმა თარჯიმანმა იცის, რომ მე უხეში შეცდომა დავუშვი — მე ხომ მნიშვნელოვანი საქმე დამევალა და უნდა მეკისრა პასუხისმგებლობა თავისი დაუდევრობისათვის. მე თავად ეს შესანიშნავად მესმოდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ ყველაფერი ხუმრობით დამთავრდებოდა. თუმცა ჩემმა დაუდევრობამ ძლიერ გააბრაზა სტალინი. გაიკიაფა მისმა თვალებმა, ის დაიხარა ჩემსკენ და კბილებში გამოსცრა:

— ნახა რა, სად ისადილოს! თქვენი საქმეა თარგმნოთ, იმუშაოთ. უყურეთ, ამოივსო ყბა. უმსგავსობაა!..

თავს ძალა დავატანე და გადავყლაპე დაუღეჭავი ლუკმა და სხაპასხუპით ვთარგმნე ის, რაც ჩერჩილმა თქვა. მე, რასაკვირველია, არაფრისთვის ხელი აღარ მომიკიდია, მადაც სრულიად დამეკარგა.“...

ძნელია, არ დაეთანხმო, რომ სტალინი ბრაზობდა ამ შემთხვევაში საქმეზე. და სულაც არა იმიტომ, რომ იყო „სისხლიანი ტირანი“ და „ბოროტი ვამპირი“.

კიდევ ერთი ისტორია იმავე თეირანის კონფერენციასთან დაკავშირებით გვიჩვენებს სრულიად სხვა სტალინს. „მეორე ეშელონის“ თარჯიმანი ზოია ვასილის ასული ზარუბინა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მას შეიძლება გაუგო — მოხდა რაღაც წარმოუდგენელი რამ. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ოცდა სამი წლისა იყო და პირველად მოხვდა სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში:

„იყო ეპიზოდი, რომლის გახსენების დროსაც დღესაც ვგრძნობ სიცივეს ზურგში, იმ დროს კი მე ნამდვილად შიშმა მომიცვა. ერთ-ერთი სხდომის დაწყების წინ გავიქეცი კარისკენ, რომელიც გაიღო მოულოდნელად: დარბაზში სტალინი შემოვიდა. ძლივს მოვასწარი შევბრუნებულიყავი, მაგრამ მაინც გავკარი მხარი და გავქვავდი უარესის მოლოდინში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტალინმა ამას ყურადღება არ მიაქცია, მის უკან მომავალმა ვოროშილოვმა კი დამამშვიდა: „არაუშავს, შვილო, არაუშავს“.

რა უქნეს ქალიშვილს ასეთი უპატივცემლობის გამო? გაუმასპინძლდნენ შავი ხიზილალით. არ ვხუმრობ. ის თვითონ მოგვიყვა ამის შესახებ:

„და, რასაკვირველია, დამამახსოვრდა ვახშამი დელეგაციების გამგზავრების შემდეგ. იგი ჩვენთვის მოაწყვეს, მცირერიცხოვანი თანამშრომლებისთვის, რომლებიც ემსახურებოდნენ კონფერენციას. მაგიდაზე იყო ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რასაც დელეგაციებს სთავაზობდნენ. შიმშილობის დრო იყო, და ეს უკვე საჩუქარი იყო, განსაკუთრებით თავისი ყურადღებით. ჩემ წინ დადგეს წითელი შამპანური და შავი ხიზილალა. ვიფიქრე, რომ ეს იყო ჩემთვის როგორც ერთადერთი ქალისთვის ჩვენ გუნდში, მაგრამ შევცდი. დაცვის ოფიცერმა ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ამიხსნა: „ეს თქვენ იმიტომ, რომ არ წააქციეთ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი“.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-148

რა უნდა ვიცოდეთ მშენებარე ბინის შეძენისას?!

ახალი ბინა, ახალმოსახლეობა, არაჩვეულებრივი ემოციებია. თუმცა არსებობს სხვა გამოცდილებაც, როდესაც ბინის ნაცვლად ხელში „ჰაერი“ გვრჩება... კითხვები – ვიყიდო? არ ვიყიდო? გავრისკო თუ არა მშენებარე ბინის შეძენა? აქტუალურობას არ კარგავს. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით მივმართეთ ადვოკატ მონიკა რუხაძეს.

– ქალბატონო მონიკა, რა სამართლებრივი პრობლემები იჩენს თავს მშენებარე ფართების შესყიდვასთან დაკავშირებით და რამდენად ხშირად მოგმართავენ დახმარებისთვის?

– სამწუხაროდ, ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც მყიდველი უშვებს საბედისწერო შეცდომას, რაც განპირობებულია საჭირო ინფორმაციის ნაკლებობით. იგი დებს ხელშეკრულებას, რომელიც სამართლებრივად არ უზრუნველყოფს მის მიერ გადახდილი თანხის დაცვას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც სამშენებლო კომპანია ყიდის აუშენებელ ფართს და საჯარო რეესტრში წილის გასხვისების შესახებ ხელშეკრულებას არეგისტრირებს, რომელიც მოიცავს ასაშენებელ მრავალბინიან სახლში გარკვეული ფართის მიღების უფლებას, თუმცა, ამ ფართის არსებობა არ დასტურდება რაიმე მტკიცებულებით. ხშირ შემთხვევაში, არც პროექტია შეთანხმებული და არც მშენებლობის ნებართვაა გაცემული, მიწის ნაკვეთი კი დატვირთულია ვალდებულებებით და შეუძლებელია დაზარალებულის ზიანის ასანაზღაურებლად მისი აღსასრულებლად მიქცევა. მყიდველი კი ხშირ შემთხვევაში – უსაფუძვლოდ, დარწმუნებულია, რომ შეიძინა უძრავი ქონება და საჯარო რეესტრის ამონაწერი მის მიერ გადახდილი სოლიდური თანხის დაცვას უზრუნველყოფს.

– გამოცდილებიდან გამომდინარე, რა წესების დაცვას ურჩევდით მშენებარე ფართის შეძენის მსურველს?

– პირველ რიგში, უნდა მოხდეს შესაძენი მშენებარე ფართის იდენტიფიცირება საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული უძრავი ქონების მონაცემები – ფართობი, სართულიანობა და მესაკუთრე. ასევე, სასურველია სართულის გეგმის ნახვა. ეს პირველადი მოთხოვნებია, თუმცა სრული დაცულობის გარანტიას არ იძლევა. გარიგების დადება მნიშვნელოვანი აქტია, ამ დროს ან მყიდველი თავად უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას, ან მიმართავდეს ადვოკატს.

– ქალბატონო მონიკა, რა რჩევას მისცემდით მათ, ვინც საკუთარი სახლების მიმდებარედ მშენებლობის წარმოებას აპროტესტებენ, თუმცა, ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ?

– გარდა ინფორმაციის გავრცელების და პროტესტის გამოხატვისა, აუცილებელია, სწორად და დროულად იყოს წარდგენილი სამართლებრივი მოთხოვნები, დაცულ იქნას სადავო ადმინისტრაციული აქტის გაცნობიდან მისი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუხედავად დასაბუთებული და სამართლიანი პოზიციისა, მათი სარჩელები შეწყდება დასაშვებობის ეტაპზე.

– რა უნდა გაითვალისწინოს მოქალაქემ, ზოგადად, მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად გარიგების დადებისას?

– გარიგება არის მხარეთა ნების გამოვლენა, რომლის შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორად და კვალიფიციურად შეედგენილი ხელშეკრულებით. შესაბამისად, ინდივიდუალურია ყველა გარიგება და მისი დადება აუცილებელია, განხორციელდეს იურისტთან კონსულტაციის შემდგომ, რათა ჩანასახშივე მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ბიზნესთან თუ უძრავი ქონების ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკები, ეს მომხმარებელს აარიდებს ხანგრძლივ სასამართლო დავებს.

ანა ნონიკაშვილი

ვაკის პარკის ტერიტორიული საზღვრები იზრდება

„ჩვენ მივიღეთ ქალაქისთვის კიდევ ერთი ძალიან სასიკეთო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება – იზრდება ვაკის პარკის ტერიტორიული საზღვრები! კერძოდ, პარკს უერთდება კუს ტბის მიმდებარე ტერიტორია და მთლიანი ფართობი ექცევა 1 საკადასტრო კოდის ქვეშ! რაც მთავარია – მთელ ამ სივრცეს ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი!“ – აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მედიას თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მიაწოდა.

მისი განცხადებით, დღეის მდგომარეობით, ვაკის პარკის ფართობი 18 ჰა-ს შეადგენს და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიის შეერთების შემდეგ, პარკის საზღვრები 34 ჰა-მდე გაიზრდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალაქს შეემატება კიდევ ერთი დაცული რეკრეაციული ზონა, რომელსაც მიენიჭება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

თბილისის მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ნარმანიამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჟღერა. კერძოდ, თბილისის მერის განცხადებით, დიღმის გასხვისებული ტყე-პარკის ნაწილი ქალაქს უბრუნდება. საუბარია 10 000 მ² მიწის ნაკვეთზე. თბილისის მერის თქმით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კერძო მესაკუთრესთან რთული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და საბოლოოდ, საკითხი ქალაქისთვის სასიკეთოდ გადაწყდა.

აღსანიშნავია რომ, გარდა დიღმის ტყე პარკისა, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, თბილისის მერიამ წლების განმავლობაში უკანონოდ გასხვისებული არაერთი ტერიტორია დაუბრუნა ქალაქს საზოგადოებრივი სივრცის სახით, ჯამში – 9 489 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი, მათ შორის : **სკვერი ყაზბეგის გამზირზე, ტერიტორია შავი ზღვისა და აწყურის ქუჩების გადაკვეთაზე (განხორციელდა ბენზინგასამართი სადგურის დემონტაჟი და მოეწყო სკვერი), და სხვ.**

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 19 ივლისის №1-1/314 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი–რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I –III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით (LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის 1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2017 წლის 19 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/314 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

1. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“(404391136) - უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №01.18.11.001.017, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი 181კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, რესტორან „მარაბდა“ -ს მარცხენა მხარეს;

2. შპს ,,ავზი -94“ (226521092) - უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №81.05.02.170. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: რეგისტრირებული ფართის 11501 კვ.მ -ის ნაწილი 71 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. მის. ქ. თბილისი, სოფ. ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა №6.

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

ჰუჯაბი ქართული ისტორიული ტაძარია!

ბორჯომის ხეობაში, სადაც დასასვენებლად ვიმყოფები, ახლახან „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფი მეწვია. მათ აინტერესებდათ მარნეულის რაიონში მდებარე უძველესი და უმშვენიერესი ტაძარ ჰუჯაბთან ჩემი დამოკიდებულება. გასული საუკუნის 80-იან წლებში. პირველმა მე მოვამზადე ტელესიუჟეტი ამ ძეგლთან დაკავშირებით.

ეს ასე მოხდა, 1974 წელს საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, უშიშარმა და რისკიანმა ჟურნალისტმა ნუგზარ ფოფხაძემ, როგორც ქვემო ქართლის რეგიონის კორესპონდენტს, დამავალა, ჩავსულიყავი მარნეულის რაიონში, სადაც ეს უმნიშვნელოვანესი ტაძარი მდებარეობს და რომლის დაპატრონება-მიტაცებასაც ჩვენი კარის მეზობელი სომხები ეპირებოდნენ და... ძეგლის თაობაზე რეპორტაჟი მომემზადებინა.

მე, როგორც ჟურნალისტმა, მაგრამ პროფესიით ისტორიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, გამოვიყენე ჩემი პროფესიული ცოდნა, მოვიძიე ყველა ისტორიული წყარო ჰუჯაბის გარშემო და ისე მივაშურე მარნეულს.

იმხანად რაიონს პატრიოტი, გულმხურვალე კაცი მემარნიშვილი ხელმძღვანელობდა. როდესაც მოისმინა, თუ რა საკითხი მაინტერესებდა, მითხრა, ეგ მეც მაინტერესებსო და სურვილი გამოთქვა, ერთად წავიდეთო, მაგრამ ამ დროს დედაქალაქიდან სტუმრები ჩამოუვიდნენ და რაიკომის ინსტრუქტორი გამაყოლა.

ადგილზე ჩასვლისას მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა. ძეგლი თავისთავად უნიკალური, დიდებული და ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ქმნილება აღმოჩნდა. ასევე მიმზიდველი და თვალწარმტაცი იყო ბუნება მის გარეშემო.

ჩემი ჩასვლა იქ მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას დიდად გაუხარდა, შემომჩივლეს, რამდენი არ მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, ყურადღებას არავინ გვაქცევს, თქვენს ტელევიზიას დიდი ძალა და გავლენა აქვს, იქნებ გვიშველოთ, წართმეული საძოვრები დაგვიბრუნონ, რათა ნახირი ვიყოლიოთო.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ტაძარს მივაშურეთ. იგი არცთუ სახარბიელოდ გამოიყურებოდა, არადა იქ ბოლო დრომდე ხუთი ქართველი მონაზონი მსახურობდა თურმე, აქედან ერთიღა იყო ცოცხალი, თუმცა მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხეთ.

ეკლესიის შუაგულში ის ავადსახსენებელი ლოდი ეგდო, რომლის შესახებაც დიდი მითქმა-მოთქმა იყო, რომ ის ტაძარში საეჭვო გზით მოხვდა, ყოველ შემთხვევაში, არავინ იცოდა, იქ როგორ აღმოჩნდა. სიგრძით ერთი მეტრი იქნებოდა, რაღაც უცნაური ორიოდე წარწერა ნიშნით. სხვა საყურადღებო იქ ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ეკლესიას სამხრეთით მწვანე მოლიანი მინდორი ეკრა, ჩვენმა გამყოლმა ახქერპის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, რომლის გვარი სამწუხაროდ, არ მახსოვს, ასიოდე მეტრს იქით საქართველო-სომხეთის პირობითი საზღვარი დაგვათვალიერებინა. თუმცა იქ საზღვრის მიმანიშნებელი არა იყო რა, იქვე პატარა ღელე ჩამოდიოდა. არადა, ადგილი მართლაც ლამაზი იყო, ოღონდ იქაურობას ქართველის ხელი ნამდვილად აკლდა, ადგილობრივი ძირძველი ქართველი მოსახლეობა მტერთან ბრძოლაში გაუჟლეტიათ, მათ საფლავები ბალახს დაეფარა და ცხვარ-ძროხა ძოვდა.

ის, რომ იქ რაიმე სომხური იყო, გარდა იმ შემოგდებული ლოდისა, მაშინ არც კი გაჟღერებულა. იქ მოსახლეთა ეროვნების მიუხედავად, უბრალოდაც არავის დასცდენია, მით უმეტეს, ფაქტობრივი მასალა, თუნდაც ოდნავ მიმანიშნებელი. პირიქით, ჩემს რეპორტაჟში გამომსვლელები, ისევ და ისევ საქართველოს მთავრობის უყურადღებობას უჩიოდნენ და დახმარებას ითხოვდნენ სახელმწიფო საზღვრის გადმოწევით შევიწროებულნი.

ერთმა ადგილობრივმა ხანდაზმულმა, საკმაოდ განათლებულმა კაცმა საზღვართან დაკავშირებით ერთი საყურადღებო ამბავი მიამბო.

იმ დროს, როდესაც საქართველო-სომხეთის ამ მონაკვეთზე საზღვრის დემარკაცია უნდა განეხორციელებინათ, ერევნიდან და თბილისიდან სამთავრობო კომისიები, აქ ახქერპში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. დანიშნულ დღეს ერევნის დელეგაცია ჩამოსულა, აი, თბილისის დელეგაცია კი წამოსულა, მაგრამ გზად წასახემსებლად სასაუზმეში შეუვლიათ. მერე, როგორც ქართველებს გვჩვევია, შეყოლიან... სომხები ელოდნენ და რაკი არავინ მოვიდა მათთან შესახვედრად, თვითონ, ცალმხრივად გადაუწყვეტიათ. სად უნდა გაევლოთ სასაზღვრო, ოღონდ ეგ კი იყო, ტაძარი ჩვენს მხარეს დატოვეს, მაშინ მისი მითვისება ვერ გაბედესო.

გვიან უკვე მადაზე მოვიდნენ და ის საჩოთირო ლოდი შემოაპარეს, მაგრამ იმ წლებში საქმე ამის იქით არ წასულა. ტელევიზიაში მუშაობის წლებში კიდევ რამდენჯერმე მომიწია იქ ჩასვლა. კერძოდ, ახქერპელებს თავიანთი პრობლემა — ეგრეთ წოდებული საზღვრის იქით საძოვრებისა და ხე-ტყის პრობლემა აწუხებდათ, სხვა რამ გასული საუკუნის 90 წლის მონაკვეთში არ მომხდარა. ჰუჯაბი ჩვენი იყო.

ახლა, როდესაც „რუსთავი-2“-ის გადაცემა ვნახე, აღვშფოთდი, ამხელა ტერიტორია როგორ მიითვისეს, სახელმწიფო ვართ თუ რაღაც კანტორა? ქვეყნის ასე აბუჩად აგდება წარმოუდგენელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ინტერვიუ უღრმთოდ შეამცირეს და დაამახინჯეს, ამჯერად მაინც მივესალმები „რუსთავი-2“-ის მკაცრ, პრინციპულ და სამართლიან კრიტიკას ჩვენი ხელისუფლების მიმართ. რა თქმა უნდა, ხუჯაბის ტაძარი ჩვენია და ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას არათუ ტაძრის, არამედ იმ ტერიტორიის უცხოთაგან მიტაცება.

და კიდევ: ამ ორიოდე წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ფრიად კრიტიკული წერილი დაიბეჭდა ჰუჯაბის ტაძრის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მიტაცების მცდელობაზე, რასაც მე ოპერატიულად გამოვეხმაურე. ასე რომ, ეს ამბავი არ უნდა მიჩუმათდეს. საქართველოს მთავრობამ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს, თორემ მალე ისე გაგვფცქვნიან, საძოვარი კი არა, ფეხის დასადგმელი ალაგი აღარ შეგვრჩება.

გივი ჯაბუა,

ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, რუსთავის საპატიო მოქალაქე.

ქვეყანა: საქართველო
საიდ.-N°: BMZ 2011 66 479

წინა-საკვალიფიკაციო შერჩევა

იდენტ.: საერთაშორისო, ღია ტენდერი „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის“ პროექტისათვის

შემსყიდველი: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

პროექტის საქმიანობა: პროექტის მთავარი კომპონენტებია ქ. ქუთაისის მახლობლად ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის საინჟინრო პროექტის შემუშავება და მშენებლობა (რომელიც ჩაანაცვლებს ქუთაისის არსებულ ნაგავსაყრელს), ასევე პროექტის რეგიონის მოცილებულ ადგილებში ხუთი გადამტვირთი სადგურის მოწყობა და რვა ნაგავსაყრელის დახურვა-მოწესრიგება.

შესასყიდი მომსახურება: შესასყიდი მომსახურება მოიცავს საქართველოში, ქ. ქუთაისის მახლობლად ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობას, რომელიც მოემსახურება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს. ნაგავსაყრელის მშენებლობა დაგეგმილია ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, რომელიც ქ. ქუთაისიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ში, სოფელ ჭოგნარსა და სოფელ გოდოგანს შორისაა განლაგებული. სატენდერო სამუშაოები მოიცავს: ფაზა 1-ის მშენებლობას (დაახლ. 5.4ჰა), რომლის ექსპლუატაციის ვადა 7 წელია, ხოლო ტევადობა - 800,000 მ (სანიტარული ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის საერთო ვადა 20 წელია, ხოლო ტევადობა - 2.2 მილიონი მ). კერძოდ, სამუშაოები მოიცავს: სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას, მათ შორის მისი ექსპლუატაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ობიექტების (ადმინისტრაციული შენობა, ავტოფარეხი და მიმღები საკონტროლო პუნქტი), ნაგავსაყრელის გამონაჟონისა და აირების შეკრება-დამუშავების სისტემებისა და სხვათა მოწყობას. აპლიკანტს უნდა გააჩნდეს მშენებლობის, მათ შორის ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობის, კონტრაქტის მართვის, ასევე გარემოზე, სოციალურ სფეროზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების პოტენციალის მქონე პროექტების განხორციელების გამოცდილება.

გამოცდილი კონსულტანტების წინასაკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება დოკუმენტით „სახელმძღვანელო მითითებები ფინანსური თანამშრომლობის პროექტებისათვის კონსულტანტების დაქირავებისათვის“ დადგენილი ნორმებით (www.kfw-entwicklungsbank.de). ხელშეკრულება დაიდება დამოუკიდებელ საკონსულტაციო კომპანიასთან, რომელსაც მყარი ნარჩენების მართვის სფეროში და რეგიონში საქმიანობის გამოცდილება გააჩნია და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სულ მცირე 10 (ათი) მილიონი ევროს ბრუნვა აქვს. ეს უკანასკნელი დაითვლება, როგორც მიმდინარე და/ან დასრულებული პროექტებიდან მიღებული, დადასტურებული წლიური გადახდების ჯამი. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ http://waste.gov.ge, ან მოგვწერეთ: info@waste.gov.ge

გაანცხადება

2017 წლის 18 სექტემბერს 14 საათზე შპს “ორხევი2”-ის სათავო ოფისში (თბილისი, ბელიაშვილის ქ. №145) გაიმართება შპს “ორხევი2”-ის (ს/კ 406130716) კუთვნილი ნავთობბაზის (ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, ს/კ: **01.19.26.004.087** და **01.19.26.004.101**) გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე განთავსებულ ნავთობბაზაში დაგეგმილი საქმიანობა – ნავთობბაზის რეკონსტრუქცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

– თბილისი, ბელიაშვილის ქ. №145, შპს “ორხევი2”-ის სათავო ოფისი.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ თოფაძე
ტელ: 595 39 10 23. **შპს “ორხევი2”-ის ადმინისტრაცია**

სოფელ დიღომს ახალი სპორტული მოედანი აქვს

საბურთალოს რაიონის გამგეობის ორგანიზებით სოფელ დიღომში დიდგორის ქუჩაზე არსებულ სპორტულ მოედანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ახლად მოწყობილი სპორტული მოედანი საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და გამგებლის მოადგილემ ლუკა კანკავამ დაათვალიერეს.

სამუშაოების ფარგლებში, სტადიონზე დაიგო ხელოვნური ბალახის საფარი და დამონტაჟდა ლითონის ბადე, კალათბურთისა და ფეხბურთის ძველი ფარები და კარები ახლით შეიცვალა. აღნიშნულ ტერიტორიაზე სპორტული ტრენაჟორები დამონტაჟდება.

სამუშაოები საბურთალოს რაიონის გამგეობის დაკვეთით შპს „დოკასპორტმა“ განახორციელა. საბურთალოს რაიონში მიმდინარე წელს 23 სპორტული მოედანი მოეწყო.

◎ სადაც საქმე კეთდება...

აუდიტის სამსახურმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგები გამოაქვეყნა.

როგორც აუდიტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ იყო ასახული სამინისტროს მიერ კონტროლირებული

შპს „სპორტმშენსერვისის“ კრებსითი ფინანსური ინფორმაცია, აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

„2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, სამინისტროს სარგებლობაშია სხვადასხვა მიწის ნაკვეთი, მაგრამ ბუღალტრულად ისინი აღრიცხული იყო ნულოვანი ღირებულებით. აღნიშნული შეუსაბამობების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არქონის გამო აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების სისრულესა და შეფასებაზე;

ა(ა)იპ „ფეხბურთის განვითარების ფონდის“ მიერ სახელფასო ფონდის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები, რის შედეგადაც ადგილი აქვს საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეზღუდვების უგულებელყოფას, კერძოდ:

ფონდის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 1,500 ლარს, ხოლო ფონდის დირექტორის თანამდებობრივი სარგო აღემატება საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს — 2,950 ლარს;

სსიპ „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების ფარგლებში, ოფიციალური მიწვევების თანახმად, ღონისძიების ორგანიზატორი მხარე უზრუნველყოფდა როგორც კვების, ასევე სასტუმროს ხარჯების დაფარვას, თუმცა, მივლინებულ თანამშრომელზე თანხები გაცემული იყო სასტუმროს დაქირავების მიზნით, ხოლო სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურდა სრულად, ნაცვლად კანონმდებლობით გათვალისწინებული 30%-ისა.

აუდიტის მიმდინარეობისას ანგარიშვალდებული პირის მიერ დაბრუნებული იქნა 2016 წელს ზედმეტად ანაზღაურებული თანხა 4,023 ლარის ოდენობით“, — ნათქვამია სახელმწიფო აუდიტის ინფორმაციაში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გაყრა

კანკავა „რეიმსს“ დაშორდა

ჯაბა კანკავა თავისუფალი აგენტი გახდა. მას მოქმედი კონტრაქტი აკავშირებდა ფრანგულ „რეიმსთან“, მაგრამ ორმხრივი შეთანხმებით ხელშეკრულება დაირღვა და საბოლოოდ ჯაბა სხვა კლუბს მიაშურებს.

„რეიმსმა“ კანკავა შარშანწინ შეიძინა „დნიპროდან“. ფეხბურთელმა ორი სეზონი გაატარა ახალ კლუბში და 49 მატჩი ჩაატარა: აქედან ერთი სეზონი ლიგა 1-ში, მეორე კი — ლიგა 2-ში. „რეიმსის“ გულშემატკივრებმა ჯაბა გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

როგორ მოხდა, რომ შამპანის კლუბი კანკავას შეელია? საქმე ისაა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანს მაღალი ხელფასი ჰქონდა. გარდა ამისა, „რეიმსი“ აცხადებს, რომ ჯაბას ლიგა 2-ში დარჩენის სურვილი არ გააჩნდა.

ათიოდე დღის წინათ გაცხადდა, რომ კანკავათი რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბი იყო დაინტერესებული და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ფერნანდას ვნებანი

სილამაზის აღქმის უნარი ყველა ადამიანს სხვადასხვანაირად აქვს განვითარებული და ერთის მიერ მოწონებული ასული სხვას შეიძლება კოშმარში ნანახ ჯოჯოდ მოეჩვენოს, თუმცა, სრულიად მამაკაცთა სქესი მაინც თანხმდება იმაზე, რომ მისი აღმატებულება დიდი მკერდი ქალის სილამაზეში ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს.

იტალიური ფესვების მქონე ბრაზილიელი მოდელი ფერნანდა ფერარი ის ქალია, რომელიც თავისი გრანდიოზული მკერდით ყველას პირღიას ტოვებს და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები მას ჩუმჩუმად კვარაცხელიების ჯიშის ძროხასაც კი ეძახიან, სენიორიტა ფერნანდა ამას, ცხადია, არაფრად აგდებს.

ფერნანდა ფერარი ერთ დროს პლაჟის ფრენბურთით სერიოზულად იყო გატაცებული და სპორტსმენის კარიერაზეც კი ოცნებობდა, მაგრამ შემდეგ ვეება მკერდმა მოდელობისკენ გადასძალა და ახლა თავის ორ „ბურთს“ უფრო ძალმოსილად და გულისგანმგმირავად „აწოდებს“.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კვალი საფეხბურთო მოედანზე



ქვეყნის სანაქებო ტყუპები

ქართული ფეხბურთის დიდებულ შემოქმედთა ბრწყინვალე კოჰორტაში, სამამულო სპორტის კაშკაშა ვარსკვლავთა გვერდით ღირსეული ადგილი ისეთ სპორტსმენებსაც უკავიათ, რომელთა სპორტული მიღწევები, მართალია, ნაკლებად შთამბეჭდავია, სამაგიეროდ მათი გამორჩეული თამაში სპორტის სტაჟიან გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ.

სამამულო ფეხბურთის ვეტერან სპორტსმენთა თანავარსკვლავედში, რომლებიც გულშემატკივართა გულებს გასული საუკუნის შუა ხანებში ახარებდნენ, ერთი ასეთი, მრავალი სხვა ღირსებითაც გამორჩეული კაცია **ნიკო ცაგარეიშვილი**.

მისი, რომ იტყვიან, „საბრძოლო სპორტული ნათლობა“, რა გასაკვირია და ქართველ გულშემატკივართა სათაყვანებელი თბილისის „დინამოს“ რიგებში 1954 წლის 8 აპრილს მოხდა, როცა 21 წლის ჭაბუკმა გუნდის მაისური მოირგო.

დიდუბეში, სტადიონ „დინამოსთან“ მეზობლად მცხოვრები ნიკოსთვის და მისი ტყუპისცალისთვის, სულ რაღაც 15 წუთით „უფროსი“ ძმისთვის სევერიანესთვის, ფეხბურთი უსაყვარლესი და უძლიერესი გატაცება რომ იყო, ეს, ალბათ, არავის უკვირდა. ძმები სტადიონსაც ხშირად სტუმრობდნენ — იმ ხანებში ფეხბურთზე უბილეთოდ შეპარვა (ანდა იმას შოვნა არ უნდოდა!) უდიდეს სიხარულთან ერთად ხომ მეგობრებში გარკვეული სტატუსის შეძენასაც ნიშნავდა, რაც იმ თაობის წარმომადგენლებსაც და უფრო ახალგაზრდებსაც კარგად გვახსოვს. ამიტომ, აბა, რა გასაკვირია, რომ პატარა ბიჭები სულგარინდული ადევნებდნენ თვალს იმ დროის „დინამოს“ შეუდარებელი დიდოსტატების — ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძის, ვალტერ სანაიას უზადო თამაშს, მერე კი მათი ფინტების გამეორებას პატარა ნიკო უკვე ეზოში თუ ქუჩაში „კამერა-აბალოჩკით“ თამაშისას ცდილობდა და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არცთუ უშედეგოდ.

თვითონ ნიკო იგონებს: „1952 წლის სექტემბრის თვე იდგა, მე მაშინ ვცხოვრობდი „დინამო“ სტადიონის უკან, კოოპერაციის ქუჩაზე. კვირა დღე იყო. ჩვენს ქუჩაზე ქალაქის მე-4 საავადმყოფოში ყოველ კვირას 4 საათზე იწყებოდა მნახველების შესვლა. ამ დროს ჩვენ, ქუჩის ბიჭები, ფეხბურთს ვთამაშობდით და მაყურებელიც ბევრი გვყავდა. ერთ-ერთ მომენტში მეზობელმა როინ ბაშალეიშვილმა დამიძახა და მითხრა, ნიკო, გაიცანი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ასირ გალპერინიაო. ჩვენ გავიცანით ერთმანეთი და მეუბნება, მე მინდა ჩემთან ითამაშო ფეხბურთი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდშიო, და შემეკითხა, რომელ კლასში ხარო. მე ვუპასუხე, რომ ვარ მე-11 კლასის მოსწავლე, რომელსაც ვამთავრებ 1953 წლის მაისის თვეში. მან მითხრა, რომ მე შენ დაგეხმარები და უგამოცდოდ მიგიღებთ უმაღლეს სასწავლებელშიო. მე ძალიან გამეხარდა. მეორე დღეს ვეწვიეთ ინსტიტუტის რექტორს ბატონ ფალავანდიშვილს, რომელმაც მომცა თანხმობა ინსტიტუტში ჩარიცხვისა და 5 დეკემბერს შედგა სტალინური კონსტიტუციის თასის გათამაშება ცენტრალურ სტადიონზე გორის „დილასთან“, სადაც გავიმარჯვეთ 3:0-ზე და სამივე ბურთი მე გავიტანე“.

ნიკოს ძმა სევერიანე არის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი.

მაგრამ სპორტში, ისევე, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ყველა სხვა სფეროში და, ზოგადად, ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის გზამკვლევს, პედაგოგიური ნიჭითა და ალღოთი გამორჩეულ წინამძღოლს.

17 წლის ნიკო ცაგარეიშვილს ასეთად სამამულო ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, თბილისის „დინამოს“ გუნდის ყოფილი მწვრთნელი ასირ გალპერინი მოევლინა, თუმცა კი მანამდე იმხანად თბილისში ცნობილ ტტუ-ს გუნდში თამაშობდა, რომლის მწვრთნელი სერგო სიხარულიძე იყო. შემდეგ საბჭოთა კავშირში ცნობილმა მწვრთნელმა მიხეილ იაკუშინმა იგი უკვე თბილისის „დინამოს“ დუბლების შემადგენლობაში აიყვანა.

ამ ამბავს ნიკო ასე იხსენებს:

„თასის თამაშის დამთავრების შემდეგ გასახდელში შემოდის ფოტო-რეპორტიორი შანიძე და მეუბნება, რომ სასწრაფოდ წამოდი, გეძახიან ვახტანგ დოლიძის კაბინეტშიო და მეც გავეშურე დოლიძის კაბინეტში, სადაც თავი მოეყარათ ბორის პაიჭაძეს, გიორგი ანთაძეს, გრიგოლ გაგუას და ახლად დანიშნულ მიხეილ იაკუშინს. წუთიერი დუმილის შემდეგ მიხეილ იაკუშინმა მითხრა, რომ შენი თამაში მომეწონა და მინდა გუნდში აგიყვანო და ხელფასზე დაგაჯინოო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და მითხრეს, რომ 1953 წლის 3 იანვარს არის პირველი ვარჯიში და გელოდებითო...“

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს, ვისაც ნიკო ცაგარეიშვილის თამაში ან საერთოდ არ უნახავს, ანდა ბუნდოვნად ახსოვს, მის შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არაერთი უაღრესად საგულისხმო პუბლიკაციის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდათ, რომელთა ავტორები ჩვენი სახელოვანი სპორტული ჟურნალისტები — ოთარ ნოზაძე, დემიკო ლოლაძე, ვ. ბუკია და სხვები არიან. ამდენად, ბევრს, ალბათ, ახსოვს, რომ თბილისის „დინამოს“ შემდეგ ნიკო ცაგარეიშვილმა თამაში კიევის „დინამოში“ გაგრძო, თუმცა, იქიდან მალევე უკან დაბრუნდა. 1957 წელს იგი ჩარიცხეს თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდში, შემდეგ ტრამვაიტროლეიბუსების სამმართველოს გუნდთან ერთად საკავშირო თასის მფლობელი გახდა. გარდა ამისა, ნიკო ცაგარეიშვილი წარმატებით თამაშობდა ესტონეთის „კალევსა“ და ტყიბულის „მეშახტეში“, რომლის შემადგენლობაში საქართველოს თასი მოიგო.

მეტად საგულისხმოა სიტყვები, რომლებიც თანაკლასელი მეგობრის შესახებ თბილისის „ლოკომოტივის“ ვეტერანმა ფეხბურთელმა გურამ იაშვილმა წარმოთქვა: „როგორც ბორის პაიჭაძის თამაშის სანახავად, ისე ნიკო ცაგარეიშვილის თამაშის საცქერლად დადიოდნენ სტადიონზე გულშემატკივრები... იგი თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი გახლდათ“.

ნიკო ცაგარეიშვილი, რომელსაც 24 ივლისს იუბილე ჰქონდა, თავს დღესდღეობითაც კარგად გრძნობს და მომავალსაც იმედიანად შესცქერის, კლასიკური მუსიკისა და პოეზიის დიდი ტრფიალის საოცნებო თამაშად კი, ისევე, როგორც შორეულ ახალგაზრდობაში, კვლავაც ფეხბურთი რჩება.

დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ, ჩვენო ძმაო, შენ ტყუპისცალ ძმასთან სევერიანესთან ერთად, რომელიც ამჟამად მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობს, მეტად მძიმე ავადმყოფობას ებრძვის და, იმედია, თავისი ჯიუტი შემართებით სიცოცხლეს გაამარჯვებინებს.

შენი
ირაკლი (იბო) დოლიძე,
გურამ გოგიაშვილი

◎ სულიერება

გაბრიელ მთავარანგელოზის კრება

26 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს გაბრიელ მთავარანგელოზობას.

საგულისხმოა ის, რომ გაბრიელ მთავარანგელოზმა ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის სიზმარი, ახარა ზაქარიას იოანე ნათლიმცემლის შობა, ხოლო მარიამ ღვთისმშობელს – იესო ქრისტეს შობა;

აღსანიშნავია ისიც რომ, ათონის მთის გადმოცემის მიხედვით X საუკუნეში კარიესის მონასტერთან სენაკში ერთ ბერს ღამით ადამიანის სახით გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა და ბერთან ერთად ასე იგალობა ღვთისმშობლის საგალობელი: „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებთ შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედავ ღვთისა ჩვენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთისა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღმრთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ“.

ხატებზე მთავარანგელოზი გაბრიელი სამოთხის რტოთი (თეთრი ზამბახით) გამოიხატება.

გიული ლიპარტია

◎ ხანდაზმულთა კლუბი

გზა დღეგრძელობისკენ

როცა საქმე დღეგრძელ სიცოცხლეს ეხება, უმრავლესობა, როგორც წესი, სწორ კვებას, ადეკვატურ ფიზიკურ დატვირთვასა და მავნე ჩვევებზე უარის თქმას გულისხმობს. მაგრამ, თურმე, დღეგრძელ სიცოცხლეს რამდენიმე სხვა მდგენელიც ჰქონია, რომელთა შესახებ ბევრმა უბრალოდ, არ იცის.

მათგან ზოგიერთის შეცვლას ასაკოვანი ხალხი უკვე ვეღარ შეძლებს, ზოგიერთებზე ზემოქმედება კი ხანდაზმულ ასაკშიც შეიძლება.. ამას დიდი მნიშვნელობა კიდევ იმიტომ აქვს, რომ ყველაფერს შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დიდად სასიკეთო ზემოქმედება შეუძლია.



ჯანსაღი წონა მოზარდობაში მთელი ცხოვრების მანძილზე მე-2 ტიპის დიაბეტისგან და გულსისხლძარღვთა დაავადებებისგან დაგიცავთ. ეს მონაცემები ამერიკის გულის ასოციაციას მოჰყავს, რომელმაც ჯერ 14 წლამდე მოზარდები გამოიკვლია, შემდეგ კი იგივე ხალხი 28 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ კიდევ ერთხელ შეისწავლა. მათ, ვისი წონა 14 წლის ასაკში ნორმაში იყო, ჩამოთვლილი დაავადებები, ჭარბი წონის მქონე თანატოლებთან შედარებით, ოთხჯერ უფრო იშვიათად აღენიშნებოდათ.

სოციალური აქტივობა. თუკი პენსიაში გასვლის შემდეგ თქვენ კვლავაც რჩებით მეგობართა წრეში ლხინის სულად და გულად, თუკი კვლავაც აქტიურ ცხოვრებას ეწევით – დადიხართ მუზეუმებში, სტუმრობთ მეგობრებს, ესწრებით სპორტულ შეჯიბრებებს და ა.შ., ესეც დღეგრძელობის გზაა. შვედეთის კაროლინის უნივერსიტეტის მკვლევარები აცხადებენ, რომ სოციალური აქტივობა ხელს უწყობს ტვინის მუშაობასა და ამცირებს სტრესის ჰორმონების გამომუშავებას.

საკუთარი დროის ეფექტიანად ორგანიზების უნარი. აღმოჩნდა, რომ მაღალი თვითდისციპლინის მქონე ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ და ალცეიმერის ავადმყოფობის განვითარების რისკიც 80 პროცენტით ნაკლები აქვთ, ვიდრე მათ არაორგანიზებულ თანატოლებს.

ახალი ტექნიკის დაუფლების სიყვარული. აღმოჩნდა, რომ ტვიტერის ან სკაიპის შესწავლა, ახალი სმარტფონის გამოყენების ან „გონიერი“ მულტისახარშის მუშაობის პრინციპების დაუფლებაც ავარჯიშებს თავის ტვინის უჯრედებს, უნარჩუნებს მათ ახალგაზრდობასა და მუშაობის უნარს.

დამშვიდებული პულსი წამში 60 დარტყმაა. გულის ამ რიტმში მუშაობა იმას ნიშნავს, რომ ვიდრე ფიზიკური დატვირთვა არ არის, თქვენი გული დაძაბვის გარეშე მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ზედმეტად არ იტვირთება, მაშასადამე, უფრო დიდხანს იმუშავებს.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

რიყეთის თემს ახალი კულტურის სახლი ექნება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ხულოში ყოფნის დროს გამგეობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად რიყეთის თემის თანამედროვე კულტურის სახლის მშენებლობის პროცესი დაათვალიერა. კულტურის სახლში განთავსდება დიდი საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა საბავშვო კლუბი.

ზურაბ პატარაძის თქმით, კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტში ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

კულტურის სახლში მიმდინარე სამუშაოებს შპს „დიოკნისი“ ასრულებს, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 561614 ლარი. მშენებლობაზე 14 კაცია დასაქმებული. კულტურის სახლის მშენებლობა მალე დასრულდება.

ზურაბ პატარაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კულტურის სახლთან შეკრებილ მოსახლეობას გაესაუბრნენ და მათგან მოისმინეს ინფორმაცია სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ.

გამოსათხოვარი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი

აპოლონ სილაგაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 27, 28 VII. მისამართი: ქუჩიშვილის ქ. №12, II სართული (სასტუმრო „ვერე პალასთან“). გამოსვენება 29 VII, 14 სთზე თსუ-ს დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიიდან.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ როგორც ქართველ მეცნიერთა რიგებს, ისე ქართველ ჟურნალისტთა ლაშქარს მოულოდნელად გამოაკლდა ამჟამინდელი საქართველოსთვის ესოდენ საჭირო უნიჭიერესი მოღვაწე

აპოლონ სილაგაძე

ის წლების განმავლობაში იყო საქართველოს ელჩი ეგვიპტეში, აგრეთვე გაზეთების „სახალხო განათლების“ („ერის“) და შემდგომ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი. მან არაერთი არაბული პოეზიის ნიმუში გააცნო ქართველ მკითხველს, არაბულიდანვე თარგმნა „ყურანის“ დიდი ნაწილი.

ნამდვილად უღვთოა ასეთი დიდებული ადამიანის აგრერიგად ნაადრევი გაყრა სიცოცხლესთან.

ხსოვნა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ინჟინერი, ათეული წლების მანძილზე სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებელი, საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი პიროვნება

ზოთა ვარლამის ძე ლუკავა

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

მოსაგონარი

ნანა ბრელიძის გახსენება

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც სანათესაოსა და სამეგობროს დააკლდა უკეთილშობილესი ქალბატონი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე ჩვენი ნანა ბრელიძე. მისმა სულმა ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა. დატოვა უდიდესი ამაგი და სიყვარული უდროოდ გარდაცვლილი ძმის ობლად დარჩენილი შვილის ვიკას მიმართ, ერთგულება და გვერდში დგომა დამწუხრებული მეგობრებისა და ახლობლებისა, რომლებიც ახლა უქარვებენ უდიდეს დანაკლისს ნანას დამწუხრებულ შინაურებს.

ჩვენო ნანა, ბრელიძეების საგვარეულო შენს ნაცვლად ვუხდით მადლობას, შენს სამეგობროს იმ დიდი სიყვარულისთვის, იმ დიდი ყურადღებისთვის, რაც შენს მიმართ გამოიჩინეს, ისინი შენთან ერთად ებრძოდნენ იმ უკურნებელ სენს, როგორმე შენთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინათ.

ძალიან გვენანები, ჩვენო ნანა! თავს იმით ვიიმედებთ, რომ უფალი თავის კალთაში შეგიფარებს, გაანათლებს შენს ლამაზ სულს, ჩვენ კი აქედან ვილოცებთ შენთვის.

ბრელიძეების საგვარეულო

ზუგდიდში VIVUS.GE-ს ოფისი დააყაჩაღეს

წაღებულია 3200 ლარი. გავრცელებული ინფორმაციით, „არაის“ მაღაზიაში მდებარე სწრაფი სესხის ოფისში ერთი პირი შეიჭრა და ცივი იარაღის მუქარით თანამშრომელს სალარო აპარატი გააღებინა. ადგილზე უკვე ჩატარებულია ექსპერტიზა. ამოღებულია ვიდეოჩანაწერები. მიმიმდინარეობს გამოძიება და პოლიცია სავარაუდო თავდამსხმელს ეძებს.

ვულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 80 წლისთავს, ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ერის გამორჩეულ პატრიოტსა და მოამაგეს, უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

გრიგოლ ონიანს.

◎ სათრეველები „მარშების“ თემაზე

გრანტიჭამიებისაა თბილისი?

ნაცბაცნებმა **და მათ ფეხისხმას აყოლილებმა ერთი ვაიუშველებელი ატეხეს, როდესაც უკეთილშობილესი ჩანაფიქრის აღსრულებისას, მშენებარე დენდროლოგიურ პარკში მცენარის გადატანის დროს, მოძრაობა მცირე ხნით შეწყდა, თავად კი ქვეყნისა და მისი დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი არტერია გაცილებით დიდი ხნით ჰქონდათ გადაკეტილი, რითაც დავით აღმაშენებლის გამზირზე ათასობით თბილისელისა და დედაქალაქის უამრავი სტუმრის თავისუფალი გადაადგილება გამოირიცხა და მათი უფლებები შეილახა.**

რას ფიქრობენ ქალაქის ხელისუფლები?

მხოლოდ მომიტინგეებისა და აქციების მონაწილეებისა რატომ ჰგონიათ ჩვენი ბედკრული საქართველო?

თბილისი ჩემიც არის!

„პოზიტივის“, ზოგმაც „ანტის“
მოიხვია ყელზე „ბანტი“
და მავანთა ანდამატი
ხელყუმბარად იქცა გრანტი.
და შეუდგნენ აყალმაყალს,
ჭორიკნობას და წყლის ნაყვას.
ხალხი სულ მთლად გაალაყეს,
როცა წკმუტუნს ყეფაც აჰყვა.
გრანტისმჭამლის როშვებით და
თავხედობით დრო შენივთდა,
ვაგლახ, ჩვენი დროშებითაც –
ხუთჯვრიანი დროშებით და
ევროსაბჭოს დროშებითა.
სპლიყვი ხარ თუ თეთრი დათვი,
გზას ნუ ხერგავ გრანტის ხათრით,
ბოლო-ბოლო შეიცანი,
ეს ქალაქი ჩემიც არის!

ნაგვის სუნი

უზნეობამ დაგვაქცია, შემოგვღობეს მავთულხლართით,
აქციებს და კონტრაქციებს ვეღარ ვიტან ხათრიმათრით,
ვეღარ ვგუობ, ევროს ეშხით ვინც იჯიბავს დღემდე გრანტებს,
თუ მფარველობს პედოფილს და მტრულად მოსულ ემიგრანტებს.
მოწანწალემ კარდაკარა შარს მრავალჯერ გადაგვყარა,
ის და მისი ყვავ-ყორანი დამპალ ნაგვის სუნით ყარან.

იდეპუტატოს?

ოთოია კახიძესა
აქციისას ედვა დღესაც
რე-ვოლ-ვე-რი!!!
ეს რა გვესმა,
სად გვიწია მისმა გესლმა?
რად გვჭირდება, ანდა რისთვის,
ვინც გვესვრის, ის იურისტი?
პარლამენტში ვინმე ნატრობს,
კახიძემ იდეპუტატოს?

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი-თბილისი

ტრამპი ფულს მხატვრობითაც შოულობს

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ნახატი აუქციონზე გაიყიდება. ჩანახატი გაკეთებულია 2005 წელს ერთ-ერთი საქველმოქმედო ღონისძიების დროს. მარკერით შესრულებულია ნიუ-იორკის სახლების მონახაზი, ცენტრში კი „ტრამპ თაუერი“ დგას. მისი საწყისი ფასი 9000 დოლარი გახლავთ. სურათის მთავარი ღირებულება ნახატის ქვეშ არსებული პრეზიდენტის ავტოგრაფია.



ადრე აუქციონზე ტრამპის ავტომანქანა „ფერარი“ გაიყიდა, სულ რაღაც 270 000 დოლარად. თუმცა აუქციონის მესვეურები ფიქრობდნენ, რომ მანქანა სულ ცოტა 350 000 დოლარად ფასობდა.

შარლიზ თერონმა მამის სიკვდილის მიზეზი გაამხილა

ჰოლივუდის ლამაზმანმა შარლიზ თერონმა რადიოწამყვან ჰოვარდ სტერნს გულახდილი ინტერვიუ მისცა. როგორც აღმოჩნდა, ის წლების განმავლობაში მალავდა მამის გარდაცვალების ნამდვილ ამბავს.

მსახიობის მამა ჩარლზი გამოუსწორებელი ლოთი იყო და მუდმივად ძალადობდა ცოლშვილზე. მთელი ბავშვობა ვარსკვლავმა თურმე შიშში გაატარა. ერთ ღამეს კი, მამის მორიგი მრისხანების დროს, დედამისმა ქმარი სასიკვდილოდ დაჭრა.

ამ ყველაფრის დავიწყებას წლები დასჭირდა, დიდი ხნის განმავლობაში დავდიოდი ფსიქოთერაპევტთან, რომ ამ საშინელ დღეებზე აღარ მეფიქრა – ამბობს ვარსკვლავი.

ლამაზმანი აცხადებს, რომ აღფრთოვანებულია დედის სიმამაცითა და თავდადებით, რომელმაც ფაქტობრივად მარტომ შესძლო შარლიზის ფეხზე დაყენება.

ჩაძირული ოქრო



ბრიტანელმა მყვინთავებმა ისლანდიის სანაპიროსთან მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაძირულ გემზე, დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო აღმოაჩინეს.

როგორც ირკვევა, ოქროს წონა 4 ტონაა და იგი სამხრეთ ამერიკის ბანკებიდანაა გატანილი. გემი 1939 წელს ჩაიძირა. იგი ბრაზილიიდან გერმანიისკენ მიემართებოდა და ისლანდიის სანაპიროსთან განიცადა კატასტროფა.

ვარაუდობენ, რომ თავის დროზე, გემი ბრიტანულმა ფლოტმა შეამჩნია, რის შემდეგაც ადოლფ ჰიტლერმა მისი ჩაძირვის ბრძანება გასცა, რადგან არავის ენახა მასზე არსებული ტვირთი.

ნიქოლას ქეიჯის ახალმა იმიჯმა სოციალური ქსელები ააფეთქა?

ჰოლივუდის ვარსკვლავის, პროდიუსერის, რეჟისორის, ოსკარისა და „ოქროს გლობუსის“ მფლობელის ნიქოლას ქეიჯის ახალმა ფოტოსურათმა ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ასტანაში გამართულ კინოფესტივალზე „ევრაზია“ მსახიობი ქვეყნის ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გამოცხადდა.

მისი ეს სურათი წუთში მილიონობით მნახველმა გაიზიარა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3987; ევრო - 2.7938;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1267;
100 რუბლი - 4.0042; თურქული ლირა - 0.6746;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4115;
1000 სომხური დრამი - 5.0161.

ამინდი 26 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17 დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +35
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +34
თბილისი: ღამე +22, დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge